www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 12 სექტემბერი, 2012 წელი. | №3109 (202) | ფასი 50 თეთრი

105 წელიწადი ილიას მკვლელობიდან

დღეს, 12 სექტემბერს, სრულდება 105 წელი ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან. გასულ წლებში, ილიას მკვლელობის საიდუმლოს კვლევის შესახებ, 24 საათმა" მკითხველს შესთავაზა ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის წერილები. ხოლო ამა წლის ივნისში ჩვენი სტუმარი იყო ბატონი თენგიზ სიმაშვილი, რომელმაც ექსკლუზიურად ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გააცნო საზოგადოებას ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებული რამდენიმე უაღრესად საინტერესო დოკუმენტი ("24 საათი", 5 ივნისი, ***"ვინ მოკლა ილია?"- პასუხი კითხვაზე გაცემულია - ახალი საარქივო მასალები წიწამურის ტრაგედიას ფარდას ხდის"****).*

თ. სიმაშვილის მოძიებული მასალებიდან

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

მედია და სიები ევროსაბჭოს დელეგაციის ლუპაში

დათო გამისონია

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წევრები საქართველოში წინასაარჩევნო შეხვედრებს მართავენ. ევროპელი დეპუტატები დღეს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს, სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშს და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდებიან. ვიზიტის დასასრულს დელეგაცია მიღებულ ინფორმაციას პრესკონფერენციაზე შეაჯამებს.

9 პირისგან დაკომპლექტებული დელეგაცია, დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრის შემდეგ, გუშინ სამოქალაქო სექტორს ესაუბრა. როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა "24 საათს" უთხრა, განხილვის თემა წინასაარჩევნო და საარჩევნო კუთხით არსებული პრობლემები იყო. **"შეხვედრაზე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და პოლიტიკური ფინანსების კონტროლის საკითხებზე გავამახვილე ყურადღება, იმ შერჩევითი მიდგომის შემთხვევებზე ვისაუბრე, რასაც სახელმწიფო აუდიტის საქმიანობაში ვხედავთ,"** - აღნიშნავს ჩუგოშვილი.

დელეგაციის წევრებს, როგორც ჩუგოშვილი ამბობს, ასევე აინტერესებდათ მედიასთან დაკავშირებული საკითხები, "მასთ ქერის" და "მასთ ოფერის" გაგრძელების თემა. **"ამ საკითხების შესახებ ჩვენი პოზიციები გავაცანით,** - ამბობს ჩუგოშვილი, - **მიგვაჩნია, "მასთ ქერის" და მასთ ოფერის" მოქმედება არჩევნების დღესაც, შემდეგაც უნდა გაგრძელდეს."** როგორც ჩუგოშვილი დასძენს, დელეგაციის წევრებს ბევრი ისეთი კითხვა ჰქონდათ, რომელიც მხოლოდ საქმეში ჩახედულმა ადამიანმა შეიძლება იცოდეს. **"დაგვრჩა განცდა, რომ დელეგაციის წევრები კარგად არიან ინფორმირებულები,"** - შენიშნავს ჩუგოშვილი.

დაახლოებით, ერთი საათი დაეთმო დელეგაციის კიდევ ერთ შეხვედრას მედიის წარმომადგენლებთან.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

თავდაცვის სფეროში სააკაშვილი-ობამას შორის მიღწეული შეთანხმების იმპლემენტაცია დაიწყო

საქართველოს თავდაცვის სისტემის მოდერნიზებაში მიღწეული პროგრესის, დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების, ISAF-ის ოპერაციაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, 2012 წლის დასაწყისში, საქართველოსა და აშშ-ს პრეზიდენტების შეხვედრის შედეგად ბარაკ ობამამ საჯაროდ განაცხადა საქართველოსთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ახალ საფეხურზე აყვანის შესახებ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ალექსი მაჭავარიანის მემკვიდრეობიდან...

ზურაბ ოიკაშვილი

23 სექტემბერს ქართული საკონცერტო სივრცე კვლავ დაეთმობა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის მუსიკას, კომპოზიტორისა, რომელსაც არასდროს აკლდა არც ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები და არც საერთაშორისო აღიარება.

თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში შესრულდება სიუიტა ბალეტიდან "ვეფხისტყაოსანი", საფორტეპიანო კონცერტი და მესამე სიმფონია.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

ვიანისტი კატია სკანავი

1 აშშ დოლარი		1.6606⇓
1 ევრო		2.0826⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.6294⇓
1 თურქული ლირა		0.9089⇓
100 რუსული რუბლი		5.1422⇓
თბილისი		28°C - 19°C
ქუთაისი		27°C - 18°C
თელავი		28°C - 14°C
ზუგდიდი		27°C - 18°C
ბათუმი		24°C - 19°C
ნავთობი	3.17	+0.04 +1.25%
გაზი	2.79	+0.04 +1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20 +1.91%
ხორბალი	890.50	-12.50 -1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

ვიქტუალური, რეალური საქართველო

ზურაბ თალაკვაძე

სლოვენიამდე მთელი წლის ბისები მორჩა და უკვე დასვენება მოსულა. საქართველო კალათბურთში ფერზე მოდის, დიდ ბიჭებთან, მომგებ გუნდებთან მიდის და სლოვენიაში ჩვენით, სხვისი დახმარების გარეშე გავედით. სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალური გარჩევები წავა და იქ რესპექტაბელური, მეორე ადგილით გავედით.

გაგრძელება
მე-12 გვერდზე

ბრიტანეთ ბასეინის ფოტო

ვიქტორ სანიკიძემ 22 ქულა და 13 მოხსნა დააგროვა

შეუსრულებელი მისია

ბრიტანეთ ბასეინის ფოტო

პირველ ტაიმში ლორიამ პირისპირ გასული სოლდადოს დარტყმა მოიგერია

ვასილ უდუმაშვილი
გიგა გერასაშვილი

სასწაული არ მოხდა. არადა, რა ცოტა დააკლდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეუსრულებელი მისიის შესრულებამდე, სულ რაღაც ხუთიოდ წუთი და თემურ ქეცბაიას ბიჭები 2014 წლის მუნდიალის შესარჩევი ციკლის მეორე ტურის მთავარ სენსაციას შემოგვთავაზებდნენ. ხუთი წუთიც და ესპანეთთან ქულას ავიღებდით. ფრედ დავასრულებდით თამაშს გუნდთან, რომელსაც 2008 წლის შემდეგ პლანეტაზე ბადალი არ ჰყავს.

გაგრძელება
მე-11 გვერდზე

პრეზიდენტი ხარაგაულელებს შეხვდა

"1 ოქტომბერი არის რეფერენდუმი იმაზე, გვინდა თუ არა, ვიყოთ თავისუფალი ქვეყანა," - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ხარაგაულში მოსახლეობასთან სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ეს არჩევნები იმ ხალხის ბოლო გაფართხალებაა, ვისაც საქართველოს წარსულში დაბრუნება სურს.

"დღეს კიდევ ერთხელ განაცხადა საქართველოს ოკუპანტმა, თუ რა სურს: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ მათ სურთ არჩევნების შემდეგ საქართველოში არეულობა. იმ განცხადების საპასუხოდ, როცა ევროპელებმა თქვეს, რომ ჩვენ გვინდა, საქართველოში ჩატარდეს კარგი არჩევნები, მათ განაცხადეს: არჩევნები არ იქნება კარგი, მაგრამ მერე იქნება კარგი არეულობა. ნურას უკაცრავად, ჩვენმა ხალხმა ამას 3 დღის წინ გასცა პასუხი. ჩვენ გვექნება კარგი არჩევნები და შემდგომი აღმშენებლობა, იმიტომ, რომ ბევრია საქართველოში კიდევ ასაშენებელი. არიან ადამიანები, რომლებსაც გრძელი სია აქვთ დასანგრევი ობიექტებისა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რამდენი ათწლეული ინგრეოდა ჩვენი ქვეყანა და რამდენი რაიონია, სადაც ჯერ კიდევ პროგრესი არ შესულა ოჯახებში," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე დაპირებით, უახლოეს პერიოდში ხარაგაულში გაზიფიცირების პროცესი დაიწყება.

ბაჩო ახალაია ლიტველ კოლეგას შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია ლიტველ კოლეგა არტურას მელიანასს შეხვდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრას მინისტრების მოადგილეები და დეპარტამენტების დირექტორები ესწრებოდნენ.

"მედიანიუსის" ინფორმაციით, მხარეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმებზე, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და საქართველოს შსს-სა და ევროპოლს შორის თანამშრომლობის დამყარების პროცესზე ისაუბრეს. განიხილეს ლიტვასა და საქართველოს შორის სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

ლიტვის დელეგაცია საქართველოში 9 სექტემბერს ჩამოვიდა. მათ შეხვედრები შსს-ს აკადემიაში გამართეს და გაეცნენ 112-ის მუშაობას. არტურას მელიანასი საქართველოს დღეს დატოვებს.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

მედია და სიები ევროსაბჭოს დელეგაციის ლუპაში

პირველი გვერდიდან

ჟურნალისტმა დავით პაიჭაძემ "24 საათს" უამბო, რომ თითოეულ მონაწილეს საქართველოში პოლიტიკური შინაარსის ინფორმაციის გავრცელების საკითხზე საუბრისთვის დაახლოებით 5 წუთი დაეთმო, 15-20 წუთი კი - დისკუსიას. დავით პაიჭაძის თქმით, სტუმრებს აინტერესებდათ, რა აუდიტორიას მოიცავს სხვადასხვა გავრცელების ტიპის ტელევიზია. პაიჭაძეს მიაჩნია, რომ შეხვედრა სტუმრებისთვის საინტერესო იქნებოდა იმითაც, რომ მათ ფრიად განსხვავებული თვალსაზრისები მოისმინეს. **"ისიც უნდა ითქვას, რაც შეხვედრაზე არ თქმულა. ქართული მხრიდან არც ერთ მონაწილეს, განურჩევლად იმისა, რომელ მედიას წარმოადგენდა, ჟურნალისტებზე პირდაპირი ზეწოლის შესახებ არ ულაპარაკია. შეხვედრაზე გამოჩნდა, რომ ეს საკითხი მოხსნილია,"** - მიიჩნევს პაიჭაძე. მისი თქმით, შეიძლება, ამა თუ იმ ჟურნალისტს მიაწერო, რომ ის პროსამთავრობო მედიას წარმოადგენს, თუმცა ისინიც კი, ვისაც ამას ვერანაირად ვერ დააბრალებ, პირდაპირ ზეწოლაზე არ ლაპარაკობენ.

პაიჭაძე აღნიშნავს, რომ მედიის წარმომადგენელთა ნაწილს ზეწოლის ირიბ ხერხად ის დაბრკოლება მიაჩნია, რაც "მაესტროს" თავისი თეფშების გავრცელებისას შეექმნა და ის, რომ "მასთ ქერის" ამოქმედებამდე "მე-9 არხს" უფრო ფართოდ გავრცელების საშუალება არ ეძლეოდა. დავით პაიჭაძის თქმით, ინფორმაციის გავრცელებაზე თუ ვინმე ჩიოდა, ეს ტექნიკურ ასპექტებს ეხებოდა და არა პირდაპირ ზეწოლას.

როგორც დავით პაიჭაძე ამბობს, ასევე გამოითქვა ეჭვი, რომ "მასთ ქერის" ვადის ამოწურვის შემდეგ, რადგან საკაბელო ოპერატორები ხელისუფლებისგან ზეწოლას განიცდიან, ყველა ტელეკომპანია ტრანსლირებული არ იქნება. **"პირადად მე ასეთ ცხად წინასწარმეტყველებას ვერ გავრისკავდი,** - ამბობს პაიჭაძე, - **თუმცა, ხაზი გაესვა იმასაც, რომ ვალდებულების ამოწურვა აკრძალვას არ ნიშნავს."**

რაც შეეხება წინასაარჩევნოდ ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს - ეძლევა თუ არა ამომრჩეველს მედიით ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის გეგმების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალება, "შეხვედრაზე ვთქვი, რომ არანაირი პოლიტიკური იდეა და საზოგადოებრივი ხასიათის ინფორმაცია საქართველოში არ ბრკოლდება. ვერავინ ვერც ერთ შემთხვევას ვერ დაასახელებს, რომ ადამიანებმა მათი სურვილის მიუხედავად, რაიმე პოლიტიკური ხასიათის ინფორმაცია ვერ გაიგეს. უნდა გითხრათ, რომ ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობებზე კამათი არ ყოფილა," - უთხრა "24 საათს" პაიჭაძემ.

ტელეკომპანია "მე-9 არხის" გენერალური დირექტორი კახა ბექაური "24 საათს" შეხვედრაზე განხილული საკითხების შესახებ ესაუბრა. **"ის პრომლემები დავაყენეთ, რომელიც მედიას საქართველოში ზოგადად და წინასაარჩევნო პერიოდში აქვს. აღვნიშნეთ, რომ "მასთ ქერის" მოქმედების ვადა არჩევნების წინა დღეს იწურება. საკაბელო ოპერატორი კომპანიის წარმომადგენლები პირად საუბრებში გვეუბნებიან, რომ ხელისუფლება მათზე ზეწოლას ახორციელებს, რომ 29 ოქტომბრის ღამეს "მე-9 არხი" თავიანთი პაკეტიდან ამოიღონ,"** - ამბობს კახა ბექაური.

ბექაური "მე-9 არხისთვის" შექმნილი სხვა დაბრკოლებების შესახებაც საუბრობს. **"უკვე 4 თვეა, რაც მაუწყებლობა დავიწყეთ და, არაერთი მოწვევის მიუხედავად, ხელისუფლების წარმომადგენლები "მე-9 არხის" თოქ-შოუებში სტუმრად მოსვლაზე უარს ამბობენ. ერთ-ერთი მათგანი მხოლოდ გახსნის დღეს იმყოფებოდა,"** - აღნიშნავს კახა ბექაური.

როგორც კახა ბექაური დასძენს, დელეგაციის წევრებს პრობლემატური საკითხები იმისთვის აინტერესებთ, რომ შემდეგ მასზე რეაგირება მოახდინონ.

დღის ბოლოს დელეგაციის წარმომადგენლები ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილს, შემდეგ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძეს შეხვდნენ. როგორც კაციტაძე ამბობს, სტუმრებს გაუკვირდათ, რომ სიების დაზუსტების ბოლო ინსტანცია სწორედ ეს კომისიაა. "ახალი მემარჯვენეების" წევრის თქმით, მათ ისიც უკვირთ, რომ სიების გადამოწმებაში ხელისუფლებას მონაწილეობა არ მიუღია.

რუსეთი ოცნებებს ვერ მალავს

დათო გამისონია

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი, რომელიც საქართველოში ამბასადორიალის ფარგლებში იმყოფებოდა, რუსეთის ხელისუფლების კრიტიკის ობიექტი გახდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრ ლუკაშევიჩის განცხადება პრესკონფერენციაზე ჟურნალისტის კითხვას მოჰყვა. მას ჰკითხეს, რა კომენტარს გააკეთებდა საქართველოში ვიზიტისას შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ოპოზიციისთვის მიცემულ გაფრთხილებაზე. ჟურნალისტის თქმით, ბილდტმა ოპოზიციას ურჩია, რომ არჩევნების შედეგების საკითხზე ქუჩის დემონსტრაციები კონტრპროდუქტიული იქნება. ლუკაშევიჩი ჟურნალისტს პასუხობს: "ჩვენ შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ამ განცხადებებს ყურადღება მივაქციეთ. ის სხვა ქვეყნებში საპროტესტო აქციების და "არაბული რევოლუციების" მიმართ აქტიური მხარდაჭერითაა ცნობილი. ამიტომ, მცდელობები, რომ აპრიორი შეიზღუდოს რეაქცია საქართველოში არჩევნების დროს დემოკრატიული ნორმების შესაძლო დარღვევებზე, სულ ცოტა, მისი შეხედულებების არათანმიმდევრულობაზე მიუთითებს. სხვათა შორის, უახლოეს დღეებში ის მოსკოვში ვიზიტით აპირებს ჩასვლას და ჩვენ ხალხის თვითგამოხატვის უფლებისადმი მისი ასეთი შერჩევითი აღქმით დავინტერესდებით." თუმცა, არც ლუკაშევიჩს და არც ჟურნალისტს არ დაუკონკრეტებიათ, ბილდტის რომელი განცხადება ჰქონდათ მხედველობაში.

თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე ბილდტმა თქვა, რომ საქართველოში ბოლო წლებში ჩატარებული ყოველი შემდგომი არჩევნები გაუმჯობესებით ხასიათდებოდა, თუმცა გაუმჯობესება კვლავ აუცილებელია. მისივე თქმით, არჩევნების შეფასება, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო დამკვირვებლების საქმეა და არა საარჩევნო პროცესში ჩართული პარტიებისა.

შვედმა დიპლომატმა თავის მოსაზრებები სოციალური ქსელების მეშვეობითაც არაერთხელ გამოთქვა. ერთხელ ბილდტმა ქართული ოპოზიციის მისამართით პოსტი გამოაქვეყნა: "არჩევნები იმ შემთხვევაშიც უნდა მიიღონ, თუ მისი შედეგები მათთვის სასარგებლო არ იქნება." ბილდტი პოსტებში კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილსაც ახსენებს. "ივანიშვილის მხრიდან მოდის გზავნილები, თითქოს არჩევნების შემდგომ ქუჩის აქციებით უფრო უნდა გადაწყდეს, ვინ უნდა მართოს ქვეყანა, ვიდრე კენჭისყრაზე," - აღნიშნავს კარლ ბილდტი თავის პოსტში.

ბილდტის მიმართ რუსეთის ხელისუფლების კრიტიკა მიუღებელია როგორც "ქართული ოცნების", ასევე საქართველოს ხელისუფლებისთვის. "ქართული ოცნების" წევრი თინა ხიდაშელი დარწმუნებულია, რომ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას რუსეთში არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე კი ლუკაშევიჩის შეფასებას ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევად აფასებს. გარდა ამისა, კალანდაძის აზრით, რუსეთს არ უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ საქართველოს დასავლელ პარტნიორებს განსხვავებული პოზიცია ექნებოდათ.

65 მლნ დოლარის ინვესტიცია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში

ნინო ნარჩემაშვილი

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ოპერატორი კომპანია "ტავ ჯორჯია" თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დამატებით 65 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. კომპანიის ინფორმაციით, 22-თვიანი სამშენებლო სამუშაოების შედეგად, ახალი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის სრული რეაბილიტაცია და გაგრძელება-გაფართოება იგეგმება. ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობაზე "ტავ ჯორჯია" 700 ადამიანს დაასაქმებს, აქედან 99% ადგილობრივი იქნება.

"ტავ აეროპორტების" პრეზიდენტის სანი შენერის განცხადებით, "საქართველო კავკასიის რეგიონის უპირობო ლიდერია სტრატეგიული და ეკონომიკური განვითარების კუთხით, ახლა კი მას რეალური შანსი აქვს, გახდეს უმნიშვნელოვანესი საავიაციო ჰაბი რეგიონში. კომპანია "ტავს" სურს, თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს ავიაციის განვითარებაში და საკუთარი გამოცდილება საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას მოახმაროს. F კოდის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე წამყვან აეროპორტს აქვს, მათ შორის, ლონდონის "ჰითროუსა" და ამსტერდამის "სხიპოლის" აეროპორტებს. ამჯერად კი, მნიშვნელოვანია, რომ პირველი ასეთი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი მთელ ამიერკავკასიაში სწორედ საქართველოში იქნება. ამ პროექტის განხორციელება დიდ სარგებელს და წინსვლას მოუტანს ქართულ ავიაციას".

"ტავ ჯორჯიას" გენერალური მენეჯერის მეთე ერქალის განცხადებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კომპანია "ტავ ჯორჯია" მორიგ უპრეცედენტო ინვესტიციას განახორციელებს. მისი თქმით, " ორ წელიწადზე ნაკლებ დროში, უფრო ზუსტად კი, 22 თვეში, თბილისის აეროპორტის ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სრული რეაბილიტაცია და გაგრძელება-გაფართოება ICAO-ს ყველა სტანდარტისა და რეგულირების დაცვით მოხდება".

განხორციელებული ცვლილებების ფონზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, პირველად ამიერკავკასიის მასშტაბით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ბილიკს F კოდი მიენიჭება, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისის აეროპორტი შეუზღუდავად, ყველა ტიპის თვითმფრინავის მიღებას შეძლებს, მათ შორის, მსოფლიოში ყველაზე დიდი Boing 748-8F-ის, Airbus A380-800-ის, Antonov 225-ისა და Antonov 124-ის.

65 მლნ აშშ დოლარის ინვესტირების სანაცვლოდ, თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ოპერატორ კომპანია "ტავ ჯორჯიას" თბილისის აეროპორტის მართვის უფლება 2037 წლის ნოემბრამდე გაუხანგრძლივდა. მართვის უფლების 10 წლითა და 9 თვით გაგრძელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება "ტავ ჯორჯიასა" და სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ "საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას" შორის გაფორმდა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

თავდაცვის სფეროში სააკაშვილი-ობამას შორის მიღწეული შეთანხმების იმპლემენტაცია დაიწყო

6-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში საქართველოს საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობები ძლიერდება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მოგვიანებით, ორი ქვეყნის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელ პირებს შორის გამართულ შეხვედრებზე შემუშავებულ იქნა თავდაცვის სფეროში გაღრმავებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები.

2012 წლის 5 ივნისს, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის სხდომაზე კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული ამერიკული მხარის მზადყოფნა საქართველოსთან თავდაცვის სფეროში გაღრმავებულ თანამშრომლობაზე და ასევე, გაჟღერდა აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში იდენტიფიცირებული კონკრეტული დახმარების სფეროები, კერძოდ:

- ოპერატიული საჰაერო კონტროლისა და საჰაერო თავდაცვის სფეროში წვრთნა და განათლება;
- საბრძოლო თავდაცვითი საინჟინრო წვრთნა და განათლება;
- მხარდაჭერის ვერტმფრენების მიმართულებით წვრთნა და განათლება;
- სანაპირო დაცვის კონტროლის სფეროში წვრთნა და განათლება;
- სერჟანტებისა და უმცროსი ოფიცრების ინსტრუქტორების მომზადება ტაქტიკურ დონეზე;
- ბრიგადის მმართველობისა და შტაბის წვრთნა და განათლება.

თავდაცვის სფეროში გაღრმავებული თანამშრომლობის მიზანია საქართველოს სამხედრო სისტემის მოდერნიზებისა და თავდაცვის რეფორმების დაჩქარება, ნატო-სთან თავსებადობის ხარისხის ამაღლება და თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესება.

აშშ-სა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში გაღრმავებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ საქართველოს თავდაცვის ministრს, ბატონ **დიმიტრი შაშკინს** გავესაუბრეთ.

- ბატონო დიმიტრი, რა ეტაპებს მოიცავს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება და დაიწყო თუ არა უკვე მუშაობა რომელიმე მიმართულებით?

- სექტემბერში იწყება კონკრეტული იმპლემენტაცია იმ შეთანხმების, რომელიც მიღწეული იყო საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებს შორის. ეს არის ექვსპუნქტიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც ამერიკის შეერთებული შტატები შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში ჩვენს ქვეყანას ეხმარება.

6-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია იმ სამი პუნქტის განხორციელება, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და უსაფრთხოებას საგრძნობლად გააძლიერებს - **უკვე სექტემბერში ჩვენთან სპეციალური ექსპერტების ჯგუფი ჩამოდის, რომელიც პირველ ეტაპზე შეისწავლის ქვეყნის საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობებს** - ეს იქნება პირველი ეტაპი ანუ არსებული მდგომარეობის შესწავლა, პოტენციური საშიშროებებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.

სიტუაციის შესწავლის შემდეგ, დაიწყება მეორე ეტაპის განხორციელება, კერძოდ, ამერიკელი ექსპერტები დაწერენ დოქტრინას, თუ რა უნდა გაკეთდეს არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, რომ ჩვენმა საჰაერო თავდაცვამ უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება. ამერიკელი ექსპერტების მიერ შემუშავებულ დოქტრინაში დეტალურად იქნება გაწერილი ის გასატარებელი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებითაც მოხდება საქართველოს საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდა და განვითარება.

ხოლო მესამე ეტაპზე კონკრეტულად დოქტრინის იმპლემენტაცია დაიწყება.

- კიდევ რა მიმართულებას გამოყოფდით, რა სფეროში გაუწევენ დახმარებას ამერიკელი სპეციალისტები საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და რა სფეროში იგეგმება თანამშრომლობის გაღრმავება უახლოეს მომავალში?

- მეორე მიმართულება თავდაცვით საბრძოლო საინჟინრო სფეროში წვრთნა და განათლებაა - ქართველი სამხედრო ინჟინრები წვრთნას და მომზადებას თავდაცვით საინჟინრო საკითხებში გაივლიან, რაც მოიცავს თავდაცვითი შესაძლებლობების არსებითი კომპონენტის, კონტრ-მობილურობის შესაძლებლობების განვითარებას, კონტრ-მობილურობის ტაქტიკისა და ტექნიკის შესწავლას, როგორიცაა ჯავშანსატანკო დაბრკოლებების შექმნა და გაუვნებელყოფა.

სექტემბერში ჩამოდის კიდევ ერთი სპეციალური ჯგუფი, დაკომპლექტებული სამხედრო ინჟინრებით, რომლებსაც ამ მიმართულებით უზარმაზარი საექსპერტო პოტენციალი აქვთ ანუ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენს საინჟინრო ბრიგადას დაეხმარება შესაძლებლობების გაზრდაში. **იმ კონცეფციიდან გამომდინარე, რომელსაც ჩვენ ვეძახით ტოტალურ თავდაცვას, სამხედრო საინჟინრო საქმე არის უმნიშვნელოვანესი, ისევე როგორც საჰაერო. საქართველოს სამხედრო საინჟინრო შესაძლებლობების გაზრდა ნიშნავს, რომ ჩვენი ტერიტორიების დაცვა უკეთ შევძლოთ. ეს არის ძალიან გლობალური და მნიშვნელოვანი საკითხი.**

მესამე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, არის დამხმარე ვერტმფრენების მოდერნიზებაში მხარდაჭერა, ჩვენ ძალიან დიდ ყურადღებას ვამახვილებთ ამ საკითხზე, იმიტომ, რომ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენი სპეციალური ოპერაციების ძალების შესაძლებლობების გაზრდას, ჩვენი ჯარის მობილურობის თვალსაზრისით ეს არის უმნიშვნელოვანესი დახმარება.

ვერტმფრენების პარკის მოდერნიზებაში მხარდაჭერა ჩვენ გამოგვადგება როგორც ISAF-ის, ასევე ISAF-ის ოპერაციის დასრულების შემდგომ ეტაპზე. ამ მიმართულებით თანამშრომლობა გამოიხატება დოქტრინის ჩამოყალიბებასა და პერსონალის მომზადებაში, რაც დაეხმარება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, შეიმუშაონ გეგმები და ხედვა დამხმარე ვერტმფრენების ფლოტის მოდერნიზებისა და განახლებისათვის.

- თუ შეგიძლიათ აგვიხსნათ, თუ რა პრინციპით მოხდება თანამშრომლობის მიმართულებების პრაქტიკული განხორციელება?

-ზემოხსენებული თანამშრომლობის მიმართულებების პრაქტიკული განხორციელებისათვის აუცილებელი პირველი ნაბიჯი მოიცავს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული შესაბამისი შესაძლებლობების ძირეულ შეფასებას ამერიკელი ექსპერტების მიერ. ამ კუთხით მუშაობა უკვე აქტიურად მიმდინარეობს, ჩამოყალიბებულია სამუშაო ჯგუფები როგორც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, ასევე აშშ-ს შესაბამის სარდლობებში. როგორც უკვე გითხარით, მიმდინარე წლის განმავლობაში დაგეგმილია შემფასებელთა რამდენიმე ჯგუფის ვიზიტი. შემფასებელთა ჯგუფების მიერ დადებული დასკვნების საფუძველზე მოხდება გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება.

- ბატონო მინისტრო, რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის აშშ-საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავება?

- კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა ექვსპუნქტიანი გეგმის მნიშვნელოვან საკითხებს: როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ეს არის საჰაერო, ეს არის დაცვა ჰაერიდან; როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სანაპირო დაცვის კონტროლზე, ეს არის დაცვა ზღვიდან, წყლიდან და როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საინჟინრო მიმართულების გაძლიერებაზე - ეს არის თავდაცვა მიწიდან. ამ შეთანხმებაში საუბარია სამივე მიმართულებაზე - ზღვა, ჰაერი, ხმელეთი - რაც ქვეყნის უსაფრთხოების და თავდაცვისუნარიანობის გაზრდის მხრივ უმნიშვნელოვანესია.

თომას მელია წინასაარჩევნო გარემოს ეცნობა

ამერიკის შეერთებული შტატების უწყებათაშორისი დელეგაცია საქართველოში ვიზიტს განაგრძობს. გუშინ დელეგაცია, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის თომას მელიას ხელმძღვანელობით, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილს შეხვდა. მთავრობის კანცელარიაში გამართულ შეხვედრას აშშ-ს ახალი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდიც ესწრებოდა.

შეხვედრაზე საუბარი აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაგრძელებას შეეხო. მხარეებმა განიხილეს საქართველოში არსებული ვითარება. პრემიერ-მინისტრმა დელეგაციას წინასაარჩევნო გარემო და საქართველოს მთავრობის სამომავლო გეგმები გააცნო.

მანამდე კი, ამერიკის შეერთებული შტატების უწყებათაშორისი დელეგაციის წევრები და თომას მელია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ხარატიშვილს შეხვდნენ. მათ საქართველოში არსებული წინასაარჩევნო პერიოდი განიხილეს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ მელიას კომენტარი არ გაუკეთებია. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ზურაბ ხარატიშვილმა აღნიშნა, სახელმწიფო მდივნის მოადგილე დაინტერესდა, თუ როგორ ემზადება ცესკო საპარლამენტო არჩევნებისთვის, ასევე, როგორ მიდის პოლიტიკური პარტიებისა და დამკვირვებლების მუშაობის პროცესი წინასაარჩევნო პერიოდში.

"ჩვენ გავაცანით ის პროცესები, თუ როგორ ემზადება საარჩევნო ადმინისტრაცია საარჩევნო დღისთვის, რა პრობლემები არსებობს და რა მიღწევებია ამ კუთხით. გავეცით პასუხი ყველა იმ კითხვას, რომელიც დაისვა, მივაწოდეთ საკმაოდ დეტალური ინფორმაცია. განვიხილეთ, როგორ იქნება ორგანიზებული ხმის დათვლის პროცედურები, რაც ძალიან საინტერესო და ყველაზე მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესში. ასევე, გავაცანით, როგორ მიდის მუშაობა დაინტერესებულ მხარეებთან - პოლიტიკურ პარტიებთან, საადამკვირვებლო ორგანიზაციებთან," - განაცხადა ხარატიშვილმა.

გუშინვე თომას მელია შინაგან საქმეთა მინისტრს ბაჩო ახალაიას შეხვდა. შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები ნოდარ ხარშილაძე და ეკა ზღულაძე ესწრებოდნენ. შსს-ს ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოში წინასაარჩევნო გარემოზე და პოლიციის არჩევნებისთვის მზადყოფნის შესახებ ისაუბრეს.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე საქართველოში 10 სექტემბერს ჩამოვიდა და ქვეყანაში წინასაარჩევნო პერიოდს აფასებს. თომას მელია დღეს შემაჯამებელ პრესკონფერენციას გამართავს.

"ქართული დასი" მშვიდობიან აქციებს იწყებს

პოლიტიკური პარტია "ქართული დასი" 2 ოქტომბრიდან მშვიდობიან აქციებს იწყებს. ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, ამ გამოსვლებით პარტია ან არჩევნების სასურველ შედეგებს იზეიმებს, ან არაობიექტური შედეგების შემთხვევაში - ხმების დაცვას მოითხოვს.

"ქართული დასის" ლიდერის თქმით, მშვიდობიანი აქციები თბილისისა და ქუთაისის პარლამენტის შენობების წინ გაიმართება. აქციის ჩატარებაზე განაცხადის შეტანას პარტია დღეს გეგმავს.

"ქართულმა ოცნებამ" სასამართლოში სარჩელი შეიტანა

ბლოკმა "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" საქართველოს საკონსულოებში ემიგრანტების ამომრჩევლებად დარეგისტრირების წესის გამარტივების მოთხოვნით, ცესკო-ს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში "ქართული ოცნების" წარმომადგენელმა ზურაბ მარაქველიძემ შეიტანა.

მისი თქმით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 9 სექტემბრის დადგენილების თანახმად, უცხოეთში მცხოვრები ქართველები ამომრჩევლად დასარეგისტირირებლად უშუალოდ უნდა გამოცხადდნენ რეგისტრაციის ადგილას, რაც მათ სერიოზულ ბარიერებს უქმნის.

როგორც მარაქველიძე განმარტავს, 9 სექტემბრის დადგენილებით, მაგალითად, მილანსა და იტალიის სხვა ქალაქებში მცხოვრებმა ქართველებმა რეგისტრაცია საელჩოში ანუ რომში უნდა გაიარონ. იქ ჩასასვლელად კი ერთ სამუშაო დღის დაკარგვა მოუწევთ, რაც მათ პრობლემებს შეუქმნის.

"აღნიშნული ბარიერი ხელოვნურადაა შექმნილი. მოქალაქეებს დარეგისტრირების საშუალება ფოსტით უნდა მისცემოდათ, საბუთებს შეაგროვებდნენ და ფოსტით გაგზავნიდნენ, მაგრამ ცესკო-მ პროცედურა გაართულა. "ქართული ოცნება" ცესკოს ამ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს და მოითხოვს, რომ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს მიეცეთ საშუალება, დამატებითი დაბრკოლების გარეშე მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში," - განაცხადა მარაქველიძემ

ცხინვალში ქართული უპილოტოების წინააღმდეგ კომპლექსურ გეგმას ამუშავებენ

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება და ცხინვალში განლაგებული რუსეთის სამხედროები ქართული უპილოტო საფრენი აპარატების წინააღმდეგ კომპლექსურ გეგმას ამუშავებენ. რუსული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ სამხრეთ ოსეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ვადიმ სიუკაევმა განაცხადა.

"მუშავდება კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც უკანონო ფრენების შემთხვევაში იქნება რეალიზებული," - განაცხადა სიუკაევმა. მას არ დაუკონკრეტებია, კონკრეტულად რა ღონისძიებებს გაატარებენ ქართული უპილოტოების მიმართ.

მანანა ნაჭყებია: "განათლებისთვის გამოყოფილი ხარჯები უნდა გაორმაგდეს"

"ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერს მანანა ნაჭყებიას მიაჩნია, რომ ქვეყანაში განათლებაზე გამოყოფილი ხარჯები, მინიმუმ, ორჯერ უნდა გაიზარდოს და, დღეს არსებული 600 მლ ლარის ნაცვლად, 1 მლრდ 500 მლნ გახდეს. როგორც ნაჭყებიამ ზუგდიდში მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა მძიმე ტვირთად აწვება ოჯახებს.

"მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს განცხადებით, თითო სახელმძღვანელოს ფასი 10 ლარს არ აღემატება, რეალურად მოსახლეობა სულ სხვა სურათს აწყდება: სახელმძღვანელო, რომელიც ხშირ შემთხვევაში მოსწავლის სამუშაო რვეულსაც შეიცავს კოპლექტში და სავალდებულოა მისი შეძენაც, ჯამში 13-15 ლარი ჯდება. თითო მოსწავლისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების კომპლექტის შეძენა ოჯახს 130-150 ლარი უჯდება და ოჯახში 2-3 მოსწავლის ყოლის შემთხვევაში ისეთ თანხამდე ადის, რომ საშუალო ქართული ოჯახისთვის ხელმიუწვდომელია. სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული შეღავათები მოსახლეობის მცირე კატეგორიას ეხება და საბოლოოდ მოსწავლეების დიდი ნაწილი წელსაც, ისევე, როგორც წინა წლებში, სახელმძღვანელოს გარეშე რჩება," - აცხადებს ნაჭყებია. მისივე თქმით, ვინაიდან 9 კლასის ანუ საბაზო განათლების მიცემა ქვეყნის მოქალაქეებისთვის სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, ხელისუფლებამ ამ საფეხურის ყველა მოსწავლე სახელმძღვანელოებით უფასოდ უნდა უზრუნველყოს.

უპრეცედენტო საინვესტიციო ზრდა

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილმა 2012 წლის II კვარტალში 85 პროცენტი შეადგინა

იმ პერიოდიდან, როცა მსოფლიოში ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, საქართველოს, როგორც მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის შედარებით დაბალი ხარისხის მქონე ქვეყანას, ამ პროცესების ნეგატიური შედეგები ნაკლებად შეეხო. ინვესტიციები საქართველოსთვის ეკონომიკური ზრდის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს. უახლესი მონაცემების მიხედვით, საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილმა 2012 წლის II კვარტალში 85 პროცენტი შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ინფორმაციით, განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული სტრუქტურის მიხედვით პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 37 პროცენტით, მეორეზე - აშშ 11 პროცენტით, მესამეზე - აზერბაიჯანი 10 პროცენტით.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წლის II კვარტალში 219 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც შვიდი პროცენტით აღემატება 2011 წლის II კვარტალის წინასწარ მონაცემებს და ამავე პერიოდის დაზუსტებული მაჩვენებლის 88 პროცენტს შეადგენს.

რაც შეეხება წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს, "საქსტატის" ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წლის პირველ 6 თვეში 488 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 29 პროცენტით აღემატება 2011 წლის პირველი ნახევრის წინასწარ და შვიდი პროცენტით - ამავე პერიოდის დაზუსტებულ მონაცემებს.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქეთი ბოჭორიშვილი აღნიშნავს, რომ ინვესტორი განსაკუთრებულ ყურადღებს აქცევს ქვეყანაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებს. აქედან გამომდინარე, თუ ვნახავთ ინვესტიციების შემოდინებას თუნდაც 2011 წელს, მაშინ 2012 წლის პირველ კვარტალში თვალსაჩინოა, რომ უფრო მეტი ინვესტიცია განხორციელდა, ვიდრე გასულ წელს მთლიანად.

მისივე თქმით, გარდა ამისა, არის რეინვესტირებული თანხების მოცულობის ზრდაც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ უკვე არსებული ინვესტორები თავს კომფორტულად და მშვიდად გრძნობენ, ეს კი დადებითად ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ასევე აღსანიშნავია, რომ გაიზარდა იმ ქვეყნების რაოდენობაც, რომლებიც საქართველოთი დაინტერესდნენ და ინვესტიცია განახორციელეს. თუ ადრე ინვესტიციები 51-53 ქვეყნიდან შემოედინებოდა, დღეისათვის ეს მაჩვენებელი 61-ს შეადგენს. მნიშვნელოვანია, რომ არის ქვეყნები, რომლებიც კონსერვატიული ნაბიჯებით გამოირჩევიან და ქვეყნის შესწავლას ძალიან დიდ დროს უთმობენ, მაგალითისათვის - იაპონია. იაპონიიდან მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უფრო მეტი ინვესტიცია განხორციელდა, ვიდრე გასულ წელს მთლიანად. ინვესტორების მატება კი იმას მოწმობს, რომ საქართველოში შექმნილია ინვესტორებისათვის მიმზიდველი ბიზნესგარემო და აუცილებელი ინფრასტრუქტურა.

ქეთი ბოჭორიშვილის თქმით, პირველ რიგში, ინვესტორისთვის მნიშვნელოვანია დაცულობა ქვეყანაში და მშვიდი გარემო. დღევანდელ მსოფლიოში არსებული მაღალი კონკურენტული გარემოს ფონზე საქართველო ახერხებს როგორც ინვესტიციების, ისე დარეგისტრირებული კომპანიების ზრდას. ეს ყველაფერი კი ქვეყნის მიმართ მაღალი ინტერესით აიხსნება.

ეკონომიკის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ მუშაობა მიმდინარეობს როგორც ინვესტიციების მოზიდვის, ისე ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით. რაც შეეხება ინვესტიციებს, სექტორის მიხედვით ინვესტიციის მოცულობა ძალიან განსხვავდება შექმნილი სამუშაო ადგილებისგან. მაგალითად, სამკერვალო-საფეიქრო მრეწველობაში ერთი სამუშაო ადგილის შესაქმნელად დაახლოებით 20 000 აშშ დოლარია საჭირო, თუმცა ეს თანხა განსხვავებულია ისეთ სექტორებში, როგორებიცაა ენერგეტიკა, ტურიზმი.

აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტის - საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

FDI - საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას გულისხმობს.

ქეთი ბოჭორიშვილის თქმით, ინვესტირების კუთხით პრიორიტეტულია ყველა ის სფერო, რომელიც ქვეყანაში დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის და ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. გასულ წელს აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა გადამამუშავებელი მრეწველობისა და სამკერვალო ინდუსტრიის მიმართულებით. სულ მალე, რეგიონებში ახალი საფეიქრო ფაბრიკები გაიხსნება, რომელიც ასევე დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის. გარდა ამისა, კომპანიებმა გაზარდეს ნარმადობა იქიდან გამომდინარე, რომ გაზარდეს ექსპორტი, დაიმატეს მუშახელი. ასევე, ვითარდება მეორადი წარმოება, ხდება პროდუქციის გადამუშავება. თუმცა ეს ტემპები არ არის დამაკმაყოფილებელი. ქვეყანაში მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს წარმოება, რაც იმპორტის ჩანაცვლებას, შედგომ კი ექსპორტზე ორიენტაციას შესაძლებელს გახდის.

ეროსომბუდსმენი

სველი თოვლის თაობაზე...

ნოდარ ლადარია

ჯაშუშური სიუჟეტების ფრანგი ოსტატი, ჟერარ დე ვილიე, რომანში "მოკალი ჰენრი კისინჯერი" წერს, რომ კუვეიტის რომელიღაც ემირმა განათლებული მმართველის სახელი იმით მოიპოვა, რომ ქმრის მოღალატე ცოლებს ქვით ჩაქოლვა ჯოხის ცემით მოკვდინებაზე შეუცვალა. ეს ამბავი გამახსენდა, როცა წავიკითხე გიგა ზედანიას სტატია "ინტელექტუალების ღალატი", რომელიც ჟურნალმა "ტაბულამ" გამოაქვეყნა, განსაკუთრებით კი ის ფრაზა, რომლითაც ავტორი გვამცნობს, რომ "დისკუსია ინტელექტუალების როლისა და ფუნქციის შესახებ საქართველოშიც მიმდინარეობს"...

ამჯერად გიგა ზედანიას სტატიას ვეხმაურები და, მერაბ მამარდაშვილისა არ იყოს, ეშმაკმა რომ არ შემოგვიტიოს, სიზუსტისთვის აღვნიშნავ, რომ ყველა უმისამართო ციტირება სწორედ ამ ტექსტიდან იქნება.

სტატიის საბაბი საფრანგეთში 1927 წელს გამოცემული იმავე სათაურის წიგნია, რომლის ავტორი, ჟიულიენ ბენდა, მიიჩნევს, რომ "ინტელექტუალის ფუნქცია არის სიკეთისა და სამართლიანობის მსახურება. ამიტომაც მისთვის სამაგალითო ინტელექტუალები არიან სოკრატე და იესო". ამათ ფრანგი ავტორი უპირისპირებს სხვა ტიპის ადამიანებს, ანუ მოგებისა და ძალაუფლების მოწადინეებს. თუ ამ აზრს გავიზიარებთ, კიდევ ერთი ტექსტი უნდა გავიხსენოთ - ფედორ დოსტოევსკის "ჩანაწერები იატაკქვეშეთიდან". ხსენებული დაპირისპირება უკვე აქ გვხვდება, მკვეთრად და, ამის გამო, სრულიად გასაგებად გამოთქმული: "დიახ, ბატონო, მეცხრამეტე საუკუნის გონიერი კაცი იძულებულია და ზნეობრივად ვალდებულია უპირატესად უძლური და უნიათო არსება იყოს. ძლიერი და მოქმედი კაცი კი - უპირატესად შეზღუდული არსება".

თუ ძალიან შორს წავალთ, ადამ სმიტის წიგნის დასაწყისიც შეიძლება გავიხსენოთ, აი, ის ადგილი, სადაც ავტორი ქინძისთავების ფაბრიკას აღწერს და ხოტბას ასხამს შრომის განაწილებას. ინდუსტრიული რევოლუციის გარიჟრაჟზე ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ ფუძემდებლურ პრინციპს ასეთი უსიამოვნო თანმდევი, ან, როგორც სააფთიაქო რეკლამები ამბობენ, "გვერდითი" ეფექტი აღმოაჩნდებოდა და სრულყოფილ ადამიანზე რენესანსული ოცნება, საბოლოოდ, დაიმსხვრეოდა ორ არათანაბარ ნაწილად: ერთ მხარეს - ჭკვიანი ლუზერები, მეორე მხარეს - პირუტყვი წარმატებულები... რას იზამ, სპეციალიზაციის ტრიუმფალური სვლა ალბათ სწორედ ასე დაიწყო.

დიახ, ძალიან მკვეთრად თქვა სათქმელი რუსმა მწერალმა, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დისკუსია ეგზომ რადიკალურ სახეს მხოლოდ ისეთ გარემოში იღებს, რომლისთვის ცივილიზაცია და, შესაბამისად, თვით ინტელექტუალები შემოტანილი საქონელია. საქართველოსთან ერთად, ეს დახასიათება ბ-ნ დოსტოევსკის სამშობლოსაც ეხება - იქაც ჰგონიათ, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს და ამ ერთადერთ ჭეშმარიტებას ათას უცნაურ ადგილას ეძებენ.

ეს რადიკალიზმი არც მესიე ბენდას გამოჰპარვია, თავის წიგნშიც კი მოიყვანა შესაბამისი მაგალითი: "ბენდა იხსენებს ტოლსტოის ერთ ამბავს - რუსმა მწერალმა ჯარში ოფიცერს, რომელიც რეგლამენტის დამრღვევ ჯარისკაცს ურტყამდა, უსაყვედურა, სახარება წაკითხული არ გაქვსო? რაზეც ოფიცერმა მიუგო, შენ არ გაქვს წაკითხული რეგლამენტიო? ბენდას მიხედვით, ორივე მართალია - ოფიცერმა რეგლამენტი უნდა იკითხოს, ინტელექტუალმა - სახარება. აი, როდესაც ინტელექტუალი იწყებს რეგლამენტის დაცვის აუცილებლობის ქადაგებას, პრობლემა მაშინ ჩნდება - ყოველ შემთხვევაში, ბენდას თუ დავუჯერებთ". აქ მარილი შემდეგ სიტყვებშია: "ბენდას მიხედვით, ორივე მართალია". მარილი, რომლის წყალობით დასავლეთმა დასძლია უმეცრების ჩიყვი და რომელიც ჯერაც გულს ურევს აღმოსავლეთს...

ბენდა არც აქ არის ორიგინალური. ამ ფუნდამენტური გარემოების რეფლექსია მაკიაველიმ წამოიწყო, რომლის მთავარი იდეა, თუ ისაია ბერლინს დავუჯერებთ, შემდეგია: რასაც რელიგია გვასწავლის, მართალია - მის მიერ აღიარებული სიკეთე ნამდვილად სიკეთეა, მის მიერ დაგმობილი ბოროტებაც ნაღდი ბოროტებაა - მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ადამიანები სხვა მოტივებით ხელმძღვანელობენ და ჩვენც სხვა მიზნები უნდა დავისახოთ, თუ რეალური სიძნელეების დაძლევა გვსურს.

იქ კი, სადაც ცივილიზაცია "სეკონდ ჰენდია", ამ მარტივ სიღრმეს ვერ სწვდებიან, ამიტომაც გამოდის, რომ სიტყვაშეთანხმებას "ქართველი ინტელექტუალი" ხშირად იგივე ფასი აქვს, რაც "კუვეიტის განათლებულ მმართველს". ან უფრო დაბალიც... მართლაც, ლევ ტოლსტოი იქ დაიბადა და გაიზარდა, სადაც ევროპელი ინტელექტუალები, სხვა თუ არაფერი, მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩადიოდნენ. ამის ხარჯზე, ლიტერატურულ ღირებულებას რომ თავი დავანებოთ (გენიას საზომი ძნელად მოეძებნება), მსოფლიოს თვალში მანაც მოიპოვა საშუალო გაქანების უტოპისტის სახელი. აი, ქართველმა ინტელექტუალებმა კი რა ქნან? - ისღა დარჩენიათ, ბოდრიარის კვალდაკვალ იმეორონ, ომი არ არსებობდაო, ან სტენლი კუბრიკის ფილმში ნანახი ერთი პათეტიკური ეპიზოდით შთაგონებულებმა ზე აღაპყრონ ხელები ძახილით, ომი მე დავიწყეო... იოანე საბანისძის შემდეგ საუკუნეებმა გაიარა, ჩვენ კი ისევ ქვეყნის ყურეში ვიმყოფებით.

ჟიულიენ ბენდასთვის ადვილი იყო თქმა, რომ ჭეშმარიტი ინტელექტუალის ნიმუშად სოკრატე და იესო ქრისტე გამოდგებოდნენ - 1927 წელს იგი იმ ქვეყანაში ცხოვრობდა, რომელმაც, სხვებთან ერთად, ვერსალის ზავით დაამცირა გერმანიის იმპერია და კიდევ თორმეტი წელი შეეძლო ქვეყნიერების ჭიპად მიეჩნია თავი. ჩვენ კი ეს ფუფუნება არასოდეს გვქონია, ამიტომ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოკრატე სადმე თრაკიის სოფელში კი არა, ათენის პოლისში დაიბადა, იესო ქრისტეს კი იერუსალიმის ტაძრის დანგრევის მცდელობა დააბრალეს და არა სკვითების ბელადისათვის კარვის კალთის ჩამოგლეჯა...

რისი თქმა მინდა?

ჯერ ხსენებული სტატიიდან ორი ვრცელი ციტატა მოვიყვანოთ.

პირველი გვიხსნის, რას ნიშნავს ინტელექტუალთა ღალატი: "როდესაც ინტელექტუალი დარწმუნებით წერს და ლაპარაკობს საკითხზე, რომლის შესახებ ერთი წიგნიც კი არ წაუკითხავს; როდესაც ის ცდილობს, ბრბოს აფექტს შეუერთდეს, იმის მაგივრად, რომ ეს აფექტი ცივი გონებით გაანეიტრალოს; როდესაც ის ქმნის ილუზორულ იმედს, იმის მაგივრად, რომ იმედისგან დაცლილი მზერით გააანალიზოს რეალობა; როდესაც ის არეულ-დარეული ცნებებითა და წინააღმდეგობრივი არგუმენტებით გადის იოლას, იმის მაგივრად, რომ აზროვნების სიმკაცრეზე არანორმალურად დიდი დრო და ენერგია დახარჯოს; როდესაც ის ამბობს იმას, რაც მოეწონება აუდიტორიას, და არა იმას, რამაც უნდა შეცვალოს და გააღრმაოს აუდიტორიის აზრი - მაშინ ეს ინტელექტუალი სწორედაც რომ ღალატის აქტს ჩადის; არა სამართლიანობისა და სიკეთის იდეალების მიმართ, არამედ - საკუთარი თავის მიმართ. სწორედ ესაა ერთადერთი ღალატი, რომელიც ინტელექტუალს - როგორც ინტელექტუალს (და არა როგორც მოქალაქეს, ადამიანს, ჰუმანისტს, ქრისტიანს და ა. შ. - ეს სულ სხვა განსჯის საგანია) არ ეპატიება".

ერთი სიტყვით, აქ გიგა ზედანიამ რამდენიმე ენერგიული მონასმით დაგვიხატა ტელევიზიის რომელიმე არხზე მოღაღადე საშუალო სტატისტიკური ქართველი პოლიტოლოგი, რომ არა ვთქვათ "ექსპერტი".

მეორე ციტატა კი ბოლოს და ბოლოს გვიხსნის, ვინ არის ინტელექტუალი: "სიტყვის ფართო აზრით, ინტელექტუალი ისაა, ვინც მოწინავე განათლება მიიღო... მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, ამ სიტყვას უფრო მკაცრი გამოყენებაც მივცეთ. ეს არაა უბრალოდ ჭკვიანი ტიპი — შეიძლება ადამიანი ბევრ ინტელექტუალზე ჭკვიანი იყოს, მაგრამ მაინც არ იყოს ინტელექტუალი. ეს არც უბრალოდ ის პროფესიონალია, ვინც ინტელექტუალური შრომითაა დაკავებული — შეიძლება ინტელექტუალს საწყობში დარაჯად მოუწიოს მუშაობა, მაგრამ მაინც ინტელექტუალად დარჩეს. ინტელექტუალი არის ადამიანი, ვისაც იდეები აინტერესებს — თავისთავად, პრაქტიკაში მათი უშუალო და პირდაპირი გამოყენების გარეშეც. პოლიტიკოსი, რომელიც ეცნობა პოლიტიკურ თეორიას იმისთვის, რომ იცოდეს, რა არის სამართლიანობა და როგორ იდებატოს ამ საკითხზე, ამით ინტელექტუალად — სიტყვის მკაცრი აზრით — არ იქცევა, თუმცა მისი ინტელექტი შეიძლება ბევრი ინტელექტუალისას აღემატებოდეს. ინტელექტუალს სურს, გაიგოს სამართლიანობის იდეა, სამართლიანობის იდეის ისტორია და სამართლიანობის თეორია თავისთავად (ოღონდ ეს გაგება უნდა მოხდეს მისი ეპოქის სხვა ინტელექტუალების მიერ აღიარებული სტანდარტების დაცვით და არა ნებისმიერი ბოდვით, რომელიც ვინმეს თავში მოუვა)".

გავიმეოროთ ციტატის დასასრული, ის სიტყვები, რომლებიც არსებით პრობლემას ეხება: "ეს გაგება უნდა მოხდეს მისი ეპოქის სხვა ინტელექტუალების მიერ აღიარებული სტანდარტების დაცვით და არა ნებისმიერი ბოდვით, რომელიც ვინმეს თავში მოუვა".

საქართველოში, ვიდრე ინტელექტუალების აღიარება უვიცი ჟურნალისტების მობილურებში ჩაწერილი საკონტაქტო ნომრებით ხდება, ვიდრე რომელიმე ფუყე პროგრამით სადმე გატარებული არასრული სემესტრი უცხოეთში მიღებულ განათლებად მიიჩნევა, ვიდრე მეცნიერებათა დოქტორის წოდება ქართულად დაწერილი 150, ესე იგი, ევროპულ ენაზე თარგმნისას მიღებული 100 გვერდით მოიპოვება, ვიდრე წაკითხულის შინაარსის მოყოლა მნიშვნელობით განხილვას გაუტოლდება, ზემოთ განმარტებული ნამდვილი ინტელექტუალი მუდამ დარჩება სრულიად ზედმეტ და უხეირო ფიგურად, რომლის ერთგულება ვერავის გაახარებს, ღალატი კი ვერავის დაამწუხრებს. რადგან ჩვენ არც ათენი ვართ და არც იერუსალიმი — დიდი-დიდი სხვა ათენი და სხვა იერუსალიმი გვიწოდოს შორეულ წარსულში მიკარგულმა რომელიმე მატიანემ, ოღონდ ამ განსხვავებისგან ვერავინ მიიღებს სარგებელს — ვერც მეტსა და ვერც ნაკლებს...

კატინი - აშშ-ს "განარქივებული" საიდუმლო

სალომე ჯანიაშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულმა არქივმა ფარდა ახადა საიდუმლოს, რომელსაც დღემდე გულმოდგინედ ფარავდა. როგორც გასაჯაროებული დოკუმენტით ირკვევა, პრეზიდენტ რუზველტის ადმინისტრაციამ შესანიშნავად იცოდა კატინის ტყეში დატრიალებული საზარელი ტრაგედიის სინამდვილე, კერძოდ, ის, რომ პოლონელი ოფიცრები საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატის თანამშრომლებმა დახვრიტეს 1940 წელს და არა ნაცისტურმა გერმანიამ. უბრალოდ, პოლიტიკური საჭიროებებიდან და მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მოკავშირედ ყოფნის აუცილებლობიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი დააფარა. 22 ათასი პოლონელი ოფიცრის სიკვდილი აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დამალა, რადგან რუზველტს იოსებ სტალინის გაღიზიანება არ სურდა. მოსკოვმა პოლონელი ოფიცრების, ინტელექტუალებისა და ხელოვნების წრის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაული მხოლოდ 1990 წელს აღიარა. ახლახან გამჟღავნებული დოკუმენტები კი ამერიკელი ტყვეების დაშიფრულ გზავნილებს მოიცავს, რომლებმაც ცნობები კატინის ტყეში ნახევრად გახრწნილი ცხედრების პოვნის შესახებ ვაშინგტონს 1943 წელს გაუგზავნეს. ცნობებში ეწერა, რომ სამხედრო ტყვეებმა სმოლენსკის ახლოს უამრავი ნეშტი იპოვეს. ნაცისტებმა მაშინ სპეციალურად მიიყვანეს ბრიტანელი და ამერიკელი ტყვეები კატინში, რათა მათ თვიანთი თვალით ეხილათ, რომ მკვლელობა გერმანელი ნაცისტების მიერ არ იყო ჩადენილი. გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ს პრეზიდენტ რუზველტს არ სურდა, გერმანიასა და იაპონიასთან ბრძოლაში საბჭოთა კავშირიც თავის წინააღმდეგ აემხედრებინა, ადმინისტრაციის განკარგულებით პოლონელების მასობრივ დახვრეტაზე ინფორმაცია არ გაახმაურეს. 1952 წელს კონგრესში კომიტეტის საბოლოო მოხსენებაში კატინის ისტორია არც მოხვდა. საბჭოთა დანაშაული მოგვიანებით ცნეს "ერთ-ერთ ყველაზე ბარბაროსულ საერთაშორისო დანაშაულად მსოფლიო ისტორიაში". 1951-1952 წლებში კი კონგრესმენებს სპეციალურად დაუმალეს ინფორმაცია სმოლენსკის სიახლოვეს მომხდარი ტრაგედიის ნამდვილ დამნაშავეზე. გამოქვეყნებულ საარქივო დოკუმენტებში არის ასევე მნიშვნელოვანი ანგარიში, რომელიც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა ფრანკლინ რუზველტს გაუგზავნა. ბრიტანული მხარეც განგებ ხუჭავდა თვალს საბჭოთა კავშირის მოქმედებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩერჩილს წინ ედო პოლონეთში დიდი ბრიტანეთის ელჩის მიერ შედგენილი დოკუმენტი საქმის სინამდვილეზე.

"ენკავედე"-მ 1940 წლის აპრილში, სტალინის ბრძანებით, განზრახ გაანადგურა პოლონეთის ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტა სასულიერო პირებთან ერთად. დახვრეტილთა ცხედრები ძმათა სასაფლაოზე ყოველგვარი საიდენტიფიკაციო პროცედურების ჩატარების გარეშე დაკრძალეს.

9/11-ის წლისთავზე "ალ ქაიდას" ლიდერის ძმა სამშვიდობო გეგმაზე საუბრობს

თამთა კახაძე



2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენებიდან 11 წლის თავზე "ალ ქაიდას" ლიდერის აიმან ალ ზავაჰირის ძმა დასავლეთსა და ისლამისტებს სამშვიდობო შეთანხმებაში შუამავლობას სთავაზობს.

"სი-ენ-ენ"-ისათვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში მუჰამედ ზავაჰირმა ეს შემოთავაზება პირველად გაახმოვანა. მისი თქმით, მისი მდგომარეობა აძლევს მას საშუალებას, მხარეებს ძალადობის დასრულებაში დაეხმაროს.

მისი თქმით, როგორც "ალ ქაიდას" ლიდერის ძმა, ისინი იდეოლოგიურად განუყოფელნი არიან და თუ ვინმეს შეუძლია, მის ძმას ძალადობის დასრულებაზე ესაუბროს, ეს თავად მუჰამედია.

"ალ ქაიდას" ლიდერის ძმამ 14 წელი ეგვიპტის ციხეში გაატარა, მას ტერორიზმსა და 1981 წელს ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადათის მკვლელობაში მონაწილეობა ედებოდა ბრალად. იგი ბრალდებებს დღესაც უარყოფს. მისი თქმით, ციხეში ყოფნისას მან კარგად მოიფიქრა, თუ რას გააკეთებდა, როდესაც გაათავისუფლებდნენ. მუჰამედ ზავაჰირის თქმით, მას მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის მშვიდობა სურს. იგი მზადაა, შუამავლის როლი ითამაშოს ისლამისტებსა და ამერიკასა და დასავლეთს შორის: "მე არც ერთ ჯგუფს არ წარმოვადგენ, ჩემი როლია ვიყო შუამავალი დასავლეთსა და მათ შორის."

ზავაჰირს მხარეებისათვის ექვსგვერდიანი შემოთავაზებები აქვს ჩამოყალიბებული, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, შესულია: **ამერიკამ და დასავლეთმა უნდა შეწყვიტონ მუსლიმთა მიწებზე ინტერვენცია; მათ უნდა შეწყვიტონ მუსლიმთა განათლებაში ჩარევა; უნდა დაასრულონ ომი ისლამთან; გაათავისუფლონ ისლამისტი პატიმრები.**

ისლამისტებმა კი, თავის მხრივ, **უნდა შეწყვიტონ დასავლეთისა და ამერიკის ინტერესებზე თავდასხმები; დაიცვან ამერიკისა და დასავლეთის ლეგიტიმური ინტერესები მუსლიმთა მიწაზე და შეწყვიტონ დასავლეთისა და ამერიკის გაღიზიანება.**

ზავაჰირის თქმით, საპატიმროში ყოფნისას იგი ეუბნებოდა დამკითხველებს, რომ მას შეეძლო, ისლამისტებთან დაზავებაზე ემუშავა, თუმცა მას სათანადოდ არ მოუსმინეს: "ჩემს იდეას რომ ემუშავა, შესაძლოა, 9/11 არც მომხდარიყო. ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებლობა დღესაც არ არის დაკარგული," - აღნიშნავს ზავაჰირი.

მსგავსი შემოთავაზება უსამა ბინ ლადენს 2004 წელსაც ჰქონდა, თუმცა დაახლოებით ერთ წელიწადში ლონდონის მეტროში მომხდარ სასტიკ ტერორისტულ თავდასხმას 52 ადამიანი ემსხვერპლა.

პუტინის იუბილეს რუსული მედია მოუთმენლად ელის

საკადრო ცვლილებების მოლოდინი რუსეთში და "განკითხვის დღე" ფუნქციონერებისთვის - ამაზე რუსული მედია უკვე ღიად საუბრობს. "საკადრო ტაიფუნის" დღედ "ნეზავისიმაია გაზეტა" პუტინის იუბილეს მიიჩნევს - დაბადების დღეს, როდესაც ვიპ-გადაყენებების სეზონის გახსნა გამოცხადდება. თანაც, პირველ რიგში, საფრთხე გენერალურ პროკურატურასა და თვით დმიტრი მედვედევს ემუქრება.

7 ოქტომბრის "ბაგიურობისა" ჟურნალისტების გარდა, პოლიტოლოგებსაც სჯერათ, რომელთა აზრითაც, სადღესასწაულო სტუმრების სიის მიხედვით ადვილი სავარაუდო იქნება, ვინ რჩება პრეზიდენტის ფავორიტად და ვინ ხვდება შერისხულთა სიაში.

რუსული მედიის თანახმად, სამთავრობო სტრუქტურებში ცვლილებები მხოლოდ თანამდებობიდან გადაყენებებით არ შემოიფარგლება, მოსალოდნელია, რომ მოხდეს ასევე ინსტიტუციებისა და აპარატების დონეზე პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილება ზოგიერთი მაღალჩინოსნის სასარგებლოდ. ამ კუთხით, განსაკუთრებული აქცენტი იგორ შუვალოვზე კეთდება, რომელსაც პრეზიდენტის იუბილეზე, როგორც კულუარებში აცხადებენ, ერგება პატივი, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდეს. "ნეზავისიმაია გაზეტას" თანახმად, არჩევანი შემთხვევითი არ არის და ის ახალი ვიცე-პრემიერის პოზიციების გამყარებაზე ნათლად მიუთითებს. სამაგიეროდ, უცნობია, იქნება თუ არა მიწვეულ სტუმართა შორის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი დმიტრი მედვედევი, რომლის სამუშაო გრაფიკიც ოქტომბრის დასაწყისისთვის ოფიციალურად გაწერილიც არ არის. ტანდემიდან მის ჩამოშორებაზე საუბრები ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე დაიწყო, ზოგიერთი ანალიტიკოსი ფიქრობდა, რომ მედვედევს საერთოდ მოატყუებდნენ და პრემიერად აღარ დანიშნავდნენ; ზოგი ვარაუდობდა, რომ მისი პრემიერობა მაქსიმუმ სამი წელი გაგრძელდებოდა, ექსპერტების ნაწილი კი გზიდან ვლადიმირ პუტინის მიერ დმიტრი მედვედევის ჩამოშორებას პოლიტიკური როქის შემდეგ მალევე პროგნოზირებდა. ახალი პრემიერის ადგილზე ყველაზე ხშირად კი რუსეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრის ალექსეი კუდრინის კანდიდატურას განიხილავდნენ.

რუსული მედია, პრემიერის გარდა, აქტიურად საუბრობს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ვიცე-პრემიერის დმიტრი კოზაკის დანიშვნის დიდ ალბათობაზე. თუ წარსულში იური ჩაიკას პრეზიდენტთან ახლობლობა აკავშირებდა, ბოლო დროს გენერალური პროკურორის მუშაობაში ბევრ ხარვეზს ამჩნევენ, მაგალითისთვის კი რუსული საინფორმაციო სივრცისთვის გენადი გუდკოვის სიტუაციაც კმარა. ჩაიკამ სახელმწიფო სათათბიროსგან გუდკოვისთვის სადეპუტატო მანდატის ჩამორთმევა მოითხოვა მაშინ, როცა საგამოძიებო კომიტეტი მხოლოდ ხელშეუხებლობის უფლების შეჩერებას მოითხოვდა. რაც შეეხება იური ჩაიკას ოპონენტ ალექსანდრ ბასტრიკინს, მას არაფერი ემუქრება. საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელი პრეზიდენტ პუტინთან პირნათელი და პოლიტიკური თვალსაზრისით "შიშველია".

კიდევ უფრო მშვიდად შეუძლიათ ცხოვრება განაგრძონ რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურში, სადაც პუტინს, მყარი პოზიციების გარდა, იმის იმედიც მყარად შეიძლება ჰქონდეს, რომ უწყება საჯარო განხილვის თემად არც ერთ შიდა კონფლიქტს არ აქცევს.

9/11-ის მაშველები სიმსივნის მკურნალობას უფასოდ შეძლებენ

"ალ ქაიდას" მიერ ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის განადგურების 11 წლისთავზე ამერიკის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის მაშველები, რომლებიც კატასტროფის ადგილზე მუშაობდნენ, სიმსივნის გამოკვლევასა და მკურნალობას უფასოდ ჩაიტარებენ.

როგორც აღნიშნავენ, ახალი წინადადებით სარგებლობა სამაშველო სამსახურის 70 000 თანამშრომელს შეეძლება. ექიმების ვარაუდით, ნგრევის შემდეგ ნარჩენების ლიკვიდაციისას ტოქსიკურ ნივთიერებებთან კონტაქტი სიმსივნური დაავადებების გამოწვევი შეიძლება იყოს.

სპეციალისტთა შეფასებით, 2001 წლის ნგრევის შედეგად გამოწვეული დაავადებებების გამო ათასამდე ადამიანი გარდაიცვალა.

წელს პირველად, ტრაგედიის მოსაგონარ ადგილებს მხოლოდ მსხვერპლთა ნათესავები ეწვევიან. შეგახსენებთ, რომ წინა წლების განმავლობაში ამ დღეს პოლიტიკოსები სიტყვით გამოდიოდნენ. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ზაფხულში გახდა ცნობილი.

"11 სექტემბრის ეროვნული მემორიალისა და მუზეუმის" პრეზიდენტ ჯო დანიელსის თქმით, ფონდი "აქცენტს მსხვერპლთა და მათი ნათესავების პატივის მიგებაზე გააკეთებს, რაც პოლიტიკისაგან თავისუფალი იქნება."

ჩინეთი ვიცეპრეზიდენტს ეძებს

ჩინეთში სულ უფრო ბევრს საუბრობენ ჰუ ძინტაოს მოადგილის სი ძინპინის ადგილმდებარეობის შესახებ, რომელიც ოფიციალურად ძინტაოს შემცვლელად ითვლება და რომელიც უკვე ერთი კვირაა, საჯაროდ არ გამოჩენილა.

ორაშაბათს მისმა წარმომადგენელმა დანიის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა გადადო. უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ეს უკვე მეოთხე ოფიციალური შეხვედრაა, რომელიც გადაიდო. მაგალითად, პარასკევს მან კომუნისტური პარტიის მნიშვნელოვან შეკრებაზე დასწრება ვერ შეძლო, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც თავად არის.

სი ძინპინი ქვეყნის ხელმძღვანელად ოფიციალურად მომავალ თვეს უნდა დაასახელონ.

სოციალურ ქსელებში სი ძინპინის გაუჩინარების არაერთი ვერსია გაჩნდა, მათ შორის, ავტოკატასტროფაც. ზოგიერთი კომენტატორის აზრით კი, გამორიცხული არ არის, რომ სი ძინპინს უბრალოდ ზურგი ასტკივდა.

სირიელი გენერალი საფრანგეთს მადლობას უხდის

გენერალი მანაფ ტლასი, რომელიც სირიიდან გაიქცა, აცხადებს, რომ მას საფრანგეთის დაზვერვა დაეხმარა.

მისი თქმით, მან გაქცევა ფრანგული სამსახურების მეშვეობით შეძლო, თუმცა მან დეტალებზე საუბრისაგან თავი შეიკავა და მხოლოდ საფრანგეთის მთავრობისათვის მადლობის გადახდით შემოიფარგლა.

გენერლის თქმით, მას მეტის თქმა არ შეუძლია იქიდან გამომდინარე, რომ საფრთხეს შეუქმნის ადამიანებს, რომლებიც მას დაეხმარნენ.

მანაფ ტლასმა, რომელიც ახლა პარიზში იმყოფება, აღნიშნულის შესახებ "ბი-ბი-სი"-ს განუცხადა. მან აღნიშნა, რომ, მისი აზრით, თუ დასჭირდა, სირიის მთავრობა აუცილებლად გამოიყენებს ქიმიურ იარაღს.

დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტები ევროკავშირში საუკეთესოდ შეაფასეს

ამერიკაში დაფუძნებულმა ფირმა QS-მ, რომელიც ბიზნესის კურსდამთავრებულებს სამსახურის შოვნაში ეხმარება, მსოფლიოს 200 საუკეთესო უნივერსიტეტის სია შეადგინა, სადაც დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტები ევროპაში "მსოფლიო კლასის" უნივერსიტეტებად შეფასდა.

სიაში კემბრიჯის უნივერსიტეტმა, ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯმა და ოქსფორდის უნივერსიტეტმა მეორე, მეოთხე და მეექვსე ადგილები დაიკავეს.

პირველი ადგილი მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტს ხვდა. სიაში 26 ადგილი დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებს უკავია; გერმანიის უნივერსიტეტებმა 11 ადგილის დაკავება შეძლეს; საფრანგეთის უნივერსიტეტებმა - 4; ესპანეთის - 2 ადგილის, და მხოლოდ ერთი ადგილის დაკავება მოახერხა იტალიის უძველესმა ბოლონიის უნივერსიტეტმა.

ამერიკის უნივერსიტეტებმა, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან ერთად, სიაში მთლიანად 51 ადგილი დაიკავეს.

12 სექტემბერი

კინო

შეუჩერებელნი 2

რეჟისორი: საიმონ უესტი
როლებში: სილვესტერ სტალონე, ლიამ ჰემსვორტი, ჯეისონ სტეტჰემი, ჯეტ ლი, ჟან-კლოდ ვან დამი, ბრუს უილისი, არნოლდ შვარცნეგერი, ჩაკ ნორისი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი სათავგადასავლო
ხანგრძლივობა: 102 წთ.
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 13.30; 15.45; 18.00; 20.15; 22.30
ამირანი - 13.3; 15.30; 17.45; 20.00; 22.30

პირანია

რეჟისორი: ჯონ გულაჟერი
როლებში: დანიელ პანაბეიკერი, მეთ ბუში, დეივიდ კოკრენი, კატრინა ბოუდენი
ჟანრი: კომედია საშინელება
ხანგრძლივობა: 83 წთ.
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 13.45; 20.45; 22.30
ამირანი - 16.00; 22.30

უბნის მაყურებლები

რეჟისორი: აკივა შაფერი
როლებში: ბენ სტილერი, ვინს ვონი, ჯონა ჰილი
ჟანრი: კომედია
ხანგრძლივობა: 102 წთ.
გახმოვანება: რუსული

რუსთაველი - 16.00; 18.45; 22.30;
ამირანი - 14.00;

"ტედი"

რეჟისორი: სეთ მაკფარლეინი
როლებში: მარკ უოლბერგი, მილა კუნისი, სეთ მაკფარლეინი, ჯოელ მაკჰეილი, ჯოვანი რიბიზი, პატრიკ ბარბერტონი
ჟანრი: კომედია, ფანტასტიკა
ხანგრძლივობა: 106 წთ
რუსთაველი - 13.45; 18.00; 20.15;
ამირანი - 18.00;
"ბეთმენი: შავი რაინდის აღზევება"

რეჟისორი: კრისტოფერ ნოლანი
როლებში: კრისტიან ბეილი, ტომ ჰარდი, ლიამ ნისონი, მორგან ფრიმანი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი დრამა
ხანგრძლივობა: 165 წთ
გახმოვანება: რუსული

რუსთაველი - 15.30

"რომის არდადეგები"
რეჟისორი: ვუდი ალენი
როლებში: ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი, ჯესი აიზენერგი, ალეკ ბოლდუინი, რობერტო ბენინი, ფლავიო პარენტი, ჯუდი დევისი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 20.15; 2

გალერეა
ეროვნული გალერეა

"პეტრე ოცხელი - რეტროსპექტივა"
გამოფენა ეძღვნება პეტრე ოცხელის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს

ალექსანდრე ბანძელაძე - საზღვრებს მიღმა

ახალი გალერეა

თანამედროვე ქართველი მხატვრები რუსთაველი
«არმაზი, მზესუმზირა, ზუმფიზარი და კაბა»

ალექსი მაჭავარიანის მემკვიდრეობიდან...

პირველი გვერდიდან

ალექსი მაჭავარიანის ქმნილებებს საზოგადოებას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარუდგენს მისი ვაჟი, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, საფორტეპიანო კონცერტში კი სოლისტად წარსდგება ცნობილი პიანისტი კატია სკანავი. აღნიშნული კონცერტი კომპოზიტორის დაბადების დღეს ეძღვნება, 23 სექტემბერს ალექსი მაჭავარიანს 99 წელი შეუსრულდებოდა.

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი იყო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, მრავალგზის ორდენოსანი და სხვადასხვა საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი (მილანის "ლა სკალას"-თან არსებული "ბრაიდენზე"-ს გალერეის "ოქროს მედალი" ბალეტ "ოტელოს" მუსიკისთვის და პიკასოს პრემია (აშშ) ბალეტ "ვეფხისტყაოსნისთვის").

ალექსი მაჭავარიანი დაიბადა გორში 1913 წლის 23 სექტემბერს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია კომპოზიციის განხრით. დიმიტრი შოსტაკოვიჩის რეკომენდაციით მიენიჭა პროფესორის წოდება. 1962-1968 წლებში იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე.

ალექსი მაჭავარიანს შედევრთა რანგის არაერთი მუსიკალური ქმნილება ეკუთვნის, რომლებმაც კომპოზიტორს საყოველთაო აღიარება მოუტანა (ბალეტი "ოტელო", სიმფონიები, სავიოლინო კონცერტი, რომანსები, "დოლური" სოლო ვიოლინოსთვის, საფორტეპიანო პიესა "ხორუმი" და ა.შ.) 1985 წელს კომპოზიტორის კიდევ ერთი შემოქმედებითი წარმატება უკავშირდება ბალეტ "ვეფხისტყაოსანს", რომელიც დაიდგა პეტერბურგის მარიას თეატრში და გასტროლებით გააცნო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის აუდიტორიას.

ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მრავალჟანრული და ვრცელია, მოიცავს მუსიკალურ-თეატრალურ (ოპერები, ბალეტები, მუსიკალური კომედია), სიმფონიურ და ვოკალურ-სიმფონიურ (7 სიმფონია, ორატორია, ინსტრუმენტული კონცერტები, სიმფონიური პოემები, საორკესტრო პიესები), საგუნდო, კამერულ-ინსტრუმენტულ, კამერულ-ვოკალურ, სათეატრო და კინომუსიკის ჟანრებს.

ალექსი მაჭავარიანის ქმნილებები წარმატებით ჟღერდა გერმანიის, საფრანგეთის, აშშ-ს, კანადის, ნიდერლანდების, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ესპანეთის, ფინეთის, ჩეხეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, სლოვაკეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ავსტრიის, ბრაზილიის, არგენტინის, ნორვეგიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ცნობილ საკონცერტო დარბაზებში.

მისი ნაწარმოებები გრამფირფიტების სახით გამოცემულია აშშ-ში (სტუდია "კოლუმბიას" მიერ გამოცემულია სავიოლინო კონცერტი), რუსეთსა და გერმანიაში.

სამწუხაროდ, ალექსი მაჭავარიანის შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს დღემდე არ იცნობს ჩვენი საზოგადოება. სცენურ ხორცშესხმას ელის კომპოზიტორის რამდენიმე მუსიკალურ-თეატრალური თხზულება: ოპერა "მედეა" (ვახტანგ მაჭავარიანის ლიბრეტოს მიხედვით), ოპერა "ჰამლეტი" და ბალეტი "ჭირვეულის მოჯულება". დღემდე შეუსრულებელია მისი სიმფონიანი კვარტეტი N6 და საფორტეპიანო სონატა N3. თუმცა, მოგეხსენებათ, ივნისში შედგა ბალეტ-პოემა "ფიროსმანის" საკონცერტო პრემიერა, ოდნავ ადრე შესრულდა მეექვსე სიმფონიაც. ასე რომ, მუსიკისმოყვარულთ წინ კიდევ ელით ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებების მრავალი პრემიერა, მით უფრო, რომ 2013 წელს კომპოზიტორის დაბადებიდან 100 წელი სრულდება.

გამოჩენილი კომპოზიტორის შემოქმედებას ეძღვნებოდა სტატიები, რეცენზიები, მის ოპუსებს ქებათა ქებაა არ მოკლებია. წინამდებარე სტატიაში კი წარმოგიდგენთ რამდენიმე ამონარიდს ალექსი მაჭავარიანის ჩანაწერებიდან, რომლებიც შეეხება საკონცერტო პროგრამაში შეტანილ ქმნილებებს.

ვახტანგ და ალექსი მაჭავარიანები

23 სექტემბერს პირველ საკონცერტო ნომრად წარმოდგენილი იქნება I სიუიტა ბალეტიდან "ვეფხისტყაოსანი", რომლის შეასახებაც ალექსი მაჭავარიანი 1974 წელს წერდა: "1973 წლის მიწურულს ჩემს რვეულში "მუსიკა და დრო" შევიტანე ჩანაწერი: როგორც იქნა დამთავრდა "ვეფხისტყაოსანი"……დიდება შენდა, ღმერთო!

ამ ნაწარმოებზე დიდხანს ვმუშაობდი, დაკვირვებით, დინჯად. თანამედროვე მუსიკიდან მე ვისარგებლე დოდეკაფონიისა თუ სერიული სისტემების არა რომელიმე ჩამოყალიბებული კანონებით, ხერხებითა და კონსტრუქციებით, არამედ მხოლოდ მათი შინაგანი სააზროვნო ბუნებით.

"ვეფხისტყაოსანში", ბევრი ფიქრისა და აწონ-დაწონის შემდგომ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ უნდა გამოვიდე მუსიკის ენაზე აზროვნების ზოგადი არსიდან, რომლის მთავარი ნიშანია აბსტრაგირებული აზროვნება, რომ იგი დაჯილდოებულია საოცარი ზოგადობის უნარით, არ ეგების დაქუცმაცებულობა, საგნობრივი მსჯელობა, პერსონაჟთა განვითარებისა თუ ბუნების აღწერის იმგვარი ფორმები, ბრწყინვალედ რომ ხელეწიფება ლიტერატურას. ამიტომაც "ვეფხისტყაოსანის" ორი მთავარი სფერო - სიყვარული და მეგობრობა ერთ მთელში წარმოვადგინე, როგორც მუსიკალურ ხატებათა ჯამი. მათი დაპირისპირება შეუძლებელია, რადგან ორივე ერთი ემოციური და ეთიკური მუხტის მატარებელია. ამის სტიმული მომცა თვით რუსთაველის ტექსტმა..."

" ...რაინდობა ჩემთვის თვისებაა, რომელიც ადამიანის ზნეობისთვის ჰაერივით აუცილებელ პირობად მიმაჩნია. ამან უნდა იხსნას მეოცე საუკუნის ადამიანი. ეს არის ის განსაკუთრებული ნიშანი, ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა რომ გვიანდერძეს. ამ საკითხის უდიდეს მნიშვნელობაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა აკაკი შანიძის მეცნიერულმა ნაშრომებმა, მიძღვნილმა შოთა რუსთაველის პოემისადმი. ისინი კი ორმოცზე მეტია. მათ უდიდესი დახმარება გამიწიეს ბალეტზე მუშაობისას", - წერდა ალექსი მაჭავარიანი.

კეთილგანწყობილი კრიტიკა არ მოჰკლებია არც ალექსი მაჭავარიანის მესამე სიმფონიას, ერთ საგულისხმო გამონათქვამს კი, აქვე გთავაზობთ, რომელიც ცნობილ აზერბაიჯანელ კომპოზიტორს, დირიჟორსა და პიანისტს ტოფიკ კულიევს ეკუთვნის: "უკვე 40 წელია, რაც ალექსი მაჭავარიანს აღფრთოვანებაში მოვყავარ - ამოუწურავი ახალგაზრდული სული, ძიების უნარი, ენერგია. ეს გრძნობა განსაკუთრებით გამიძლიერდა მისი მესამე სიმფონიის მოსმენისას. მას არასოდეს ღალატობს ტალანტი, სამყაროს ოპტიმისტური ხედვა და შემოქმედებითი სისხარტე".

თავად ალექსი მაჭავარიანი ასე ხსნიდა სიმფონიის პათოსს 1983 წელს: "დრამატიზმით და ტრაგიზმით სავსე მესამე და ოპტიმიზმით, სიცოცხლის მოყვარე გრძნობებით გაჟღენთილი მეოთხე "ჭაბუკური სიმფონია" შექმნილია პარალელურად, მაგრამ სრულიად სხვადასხვა მუსიკალური ენით, ფორმით, შინააარსით და ტექნოლოგიით. "ჭაბუკურ სიმფონიაზე" მუშაობისას მე გადავნერგდი სიჭაბუკის იმ ხანაში, როდესაც გული საოცრად ფეთქავდა, ახალგაზრდული ტემპერამენტი და მგზნებარება დუღდა და გადმოდიოდა, ხალისი და ჟინი დაუოკებელი ქარიშხალივით ბობოქრობდა, ანუ ახალგაზრდობის დალოცვილ პერიოდში. მესამე სიმფონიაში კი ჩემს წინაშე წამოიჭრა ორი საკითხი - პიროვნებაში წარმოქმნილი წინააღმდეგობანი და თანამედროვეობის ისეთი დიდი პრობლემა, როგორიც არის მშვიდობის შენარჩუნება პლანეტაზე, პროტესტი გამალებული ატომური და ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ, რომელიც ახასიათებს ჩვენი საუკუნის ამ მონაკვეთს. ვეცადე მეჩვენებინა, რა გიგანტური ენერგია, ნებისყოფა, სულიერ და ფიზიკურ ძალთა მარაგი სჭირდება კაცობრიობას, რათა წინ აღუდგეს ძალადობის ამ ჯოჯოხეთურ მანქანას"...

"საფორტეპიანო კონცერტის ავტორი ალექსი მაჭავარიანი ახალგაზრდა და უდავოდ ნიჭიერი მუსიკოსია. მას უყალიბდება საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალურობა, საკუთარი საკომპოზიტორო ხელწერა", - ასე გამოეხმაურა ახალგაზრდა კომპოზიტორის თხზულებას დიმიტრი შოსტაკოვიჩი 1945 წლის მარტში.

ალექსი მაჭავარიანი კი 1985 წელს წერდა: "ჩემი საფორტეპიანო და სავიოლინო კონცერტები განმსჭვალულია ეროვნული სულით, უფრო სწორად, ეროვნული რომანტიზმის თვისებით".

ალექსი მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი არაერთხელ აუღერებულა სხვადასხვა საკონცერტო სივრცეში ქართველი, გერმანელი, ფრანგი, ჩეხი, პოლონელი, რუსი, რუმინელი პიანისტების მიერ. ამჯერად, მას ცნობილი პიანისტი კატია სკანავი შეასრულებს. კატია სკანავის ხელოვნებას საქართველოშიც კარგად იცნობენ და მას ჩვენთანაც არაერთი თაყვანისმცემელი ჰყავს თბილისში გამართული მშვენიერი კონცერტების მეოხებით. აღსანიშნავია, რომ პიანისტს მრავალწლიანი შემოქმედებითი კონტაქტი აქვს ვახტანგ მაჭავარიანთანაც და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც, მაგალითისთვის 2002 წელს ამსტერდამის "კონცერტგებაუში" გამართული წარმატებული კონცერტიც იკმარებს (ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად).

ბერძნული წარმომავლობის რუსეთში აღზრდილი მუსიკოსი კატია სკანავი უძლიერესი პიანიზმითა და მგრძნობიარე მუსიკალურობით ბავშვობიდანვე ახდენდა უდიდეს შთაბეჭდილებას როგორც აუდიტორიაზე, ისე კრიტიკოსებსა და თანაშემსრულებლებზე. ვენ კლაიბერნის სახელობის კონკურსის ყოფილი ფინალისტი - კატია სკანავი, როგორც საკონცერტო სოლისტის, ისე კამერული მუსიკოსის ამპლუაში ახლა უკვე ისეთი უმაღლესი დონის მუსიკოსების რჩეული პარტნიორია, როგორებიც არიან იური ბაშმეტი და გიდონ კრემერი. კატიას აქებენ მდიდარი და ცოცხალი ბგერადი პალიტრის გამო და იმ ვირტუოზულობისთვის, რომელსაც ის ინტუიციურ და გააზრებულ ინტერპრეტაციასთან კავშირში ფლობს.

კატია სკანავიმ მუსიკის სწავლა მოსკოვის "ნიჭიერთა ათნლედში" დაიწყო. 12 წლის ასაკში გამართა პირველი საჯარო კონცერტი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც შეასრულა დიმიტრი კაბალევსკის მესამე საფორტეპიანო კონცერტი თვით კომპოზიტორის დირიჟორობით. სკანავი სწავლობდა პარიზის ეროვნულ და მოსკოვის კონსერვატორიებში, ხოლო შემდეგ - კლივლენდის ინსტიტუტში სერგეი ბაბაიანთან. 1994 წელს გაიმარჯვა მარია კალასის სახელობის კონკურსზე საბერძნეთში, რის შემდეგაც კატია სკანავის გადაეცა საბერძნეთის მოქალაქეობა. 1997 წელს კი პიანისტმა სერიოზული გამარჯვება მოიპოვა ვენ კლაიბერნის სახელობის კონკურსზე ა.შ.შ-ში. 18 წლის ასაკში გაიმარჯვა მარგარიტ ლონგ - ჟაკ ტიბოს სახელობის კონკურსზე პარიზში, რასაც მოჰყვა წარმატებული კონცერტები მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს საკონცერტო სცენებზე, მათ შორის, ვენის მიუზიკფერაინსა და კონცერტჰაუსში, ამსტერდამის კონცერტგებაუში და ტოკიოს სანტორი-ჰოლში.

ბოლო სეზონების საუკეთესო კონცერტები კატია სკანავიმ გამართა ამსტერდამში, ბერლინში, ლონდონში, ლუქსემბურგში, მადრიდში, მოსკოვსა და პარიზში. კატიამ მონაწილეობა მიიღო ცნობილ ევროპულ ფესტივალებში, როგორებიც არის "როკ დ'ანთერონ", გიდონ კრემერის "ლოკენჰაუსის ფესტივალი", ასევე წარსდგა ვიოლონჩელისტ ტრულს მიორკთან ერთად სტავანგერში (ნორვეგია). შედგა მისი დებიუტი ბერლინის ფილარმონიაში გერმანიის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, გამართა კონცერტები საფრანგეთის ეროვნულ ორკესტრთან და კურტ მასურთან. წარმატებული სოლო კონცერტებით წარსდგა ნიუ იორკში, რავინიასა და ვაშინგტონში, ხოლო სიმფონიური კონცერტები კი გამართა ცინცინატის, დალასის, ინდიანაპოლისისა და სან ფრანცისკოს სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად. 2009/2010 წლების სეზონზე გამორჩეული იყო კატია სკანავის გამოსვლა ტოკიოს მეტროპოლიტენ სიმფონიურ ორკესტრთან ოლეგ კაეტანის დირიჟორობით და ბრიუსელის ფილარმონიულ ორკესტრთან მიშელ ტაბაჩნიკის დირიჟორობით.

ახლახან შედგა კატია სკანავის დებიუტი ავსტრალიაში ცოცხალი მუსიკის სამკვირიანი ეროვნული საგასტროლო პროგრამით. სკანავიმ "დარბაზი დაიპყრო" (ჟურნალი "დასავლეთი") და "ავსტრალიური ჟურნალის" კრიტიკა "აიძულა" მისი შესრულება შეეფასებინა, როგორც "განსაკუთრებულად დახვეწილი მუსიკალური საუბრის უნარი. სკანავი კონცენტრირებულია ყოველ ნოტზე, რომელსაც უკრავს და რომლებიც საკუთრივ თავის თავში დამატყვევებელ ძალას შეიცავენ".

კატია სკანავის რეპერტუარი მოიცავს კლასიკას და თანამედროვე მუსიკის სხვადასხვა სტილების თხზულებებს. მას ჩაწერილი აქვს რამდენიმე კომპაქტ-დისკი. მარსელში ცოცხალი შესრულებით ჩაწერა შუმანის, რახმანინოვის და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები, რომლებსაც კრიტიკის მაღალი შეფასება მოჰყვა. ხოლო შოპენის კონცერტის ჩანაწერს ჟურნალმა "გრამოფონმა" "თვის საუკეთესო კლასიკური ჩანაწერის" წოდება მიანიჭა. კატია სკანავის ბოლო სტუდიური ჩანაწერია რახმანინოვის პირველი საფორტეპიანო კონცერტი და "რაფსოდია პაგანინის თემაზე".

კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაგეგმილი 23 სექტემბერის საღამოს მსმენელი კიდევ ერთხელ ისიამოვნეთ ალექსი მაჭავარიანის მუსიკით...

"ოქროს მელანი" ქართული კალენდრისათვის

ბელა ჩეკურიშვილი



გუშინ ცნობილი გახდა, რომ ქართულმა გამომცემლობა "უსტარმა" გამარჯვება მოიპოვა საერთაშორისო საგამომცემლო კონკურსში "ოქროს მელანი" (Gold Ink Awards), სადაც წარდგენილი იყო 2012 წლის კალენდარი "გაიცანი საქართველო - 366 დღე". ეს ორენოვანი კალენდარი ფუნქციურად წარმოადგენს საქმიან წიგნაკს, ჩასანიშნი არშიით, რომლის ყოველდღიურად შევსებისა და ჩამოხევის შემდეგ, წლის ბოლოს მფლობელს დარჩება ილუსტრირებული ცნობარი საქართველოს შესახებ. დაჯილდოების ცერემონიალი 8 ოქტომბერს გაიმართება ჩიკაგოში, GRAPH EXPO -ს ფარგლებში, სადაც ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზების მფლობელები თითოეულ კატეგორიაში მიიღებენ ლამაზ სამახსოვრო დაფებს, კალის გამარჯვებულები კი - სერთიფიკატს. ასევე, გამარჯვებულთა პრიზები აისახება ჟურნალში Printing Impressions და საიტზე GoldInk.com. უმაღლესი ჯილდოების მფლობელი გამარჯვებული კომპანიები და მათი მონაცემები მულტიმედიური პრეზენტაციისას წარმოჩინდება.

Gold Ink Awards-ი საგამომცემლო ინდუსტრიის ყველაზე პრესტიჟული კონკურსია, რომელსაც ატარებს ჟურნალი Printing Impressions-ი და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ბეჭდვით პროვაიდერს მსოფლიოში. ამ კონკურსში გამარჯვება კი აღიარებაა როგორც კომპანიების, ისე კლიენტებისაგან.

კონკურსი 1987 წლიდან ტარდება, თავიდან იგი მხოლოდ ამერიკის მასშტაბს მოიცავდა, შემდეგ კი სხვა ქვეყნებიც ჩაერთვნენ. კონკურსი ყოველწლიურია და ჟიურიში, რომელიც ყოველწლიურად იცვლება, შედიან დიზაინერები, ხელოვნების, პოლიგრაფიის მაღალი დონის ოსტატები. ფასდება ყველანაირი პოლიგრაფიული გამოცემები: წიგნები, ჟურნალები, კალენდრები, ბროშურები, საგაზეთო ჩანართები, კატალოგები, სარეკლამო ბუკლეტები და ა.შ. და მიუხედავად იმისა, რომ ფულადი პრემია არ გაიცემა, ცნობილი გამომცემლობები, სარეკლამო კომპანიები და სტამბები ამაყობენ ამ კონკურსში აღებული ჯილდოთი.

"კონკურსში ბეჭდვითი პროდუქტი ფასდება იმის მიხედვით, როგორ არის შეთავსებული დიზაინი ბეჭდვის ხარისხთან, რამდენად ზუსტადაა გადმოცემული პროექტის იდეა თუ ჩანაფიქრი. ჩვენთვის ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება უკვე მნიშვნელოვანი იყო და მოპოვებულმა წამატებამ თავიდან გაგვაოგნა და დაგვაბნია კიდეც. დაგვეთანხმებით, ჩვენისთანა ახალბედა გამომცემლობისათვის ეს უკვე დიდი მიღწევაა, თუმცა ამ ჯილდოზე ალბათ არც დიდი გამომცემლობები იტყოდენ უარს," - გვითხრა გამომცემლობის დირექტორმა თამარ ნაჭყებიამ. რეალურად კი, ქართულ გამომცემლობას ეს გამარჯვება გზას გაუხსნის საერთაშორისო კონტაქტებისკენ, უცხოურ სტამბებთან და გამომცემლობებთან ერთობლივი თანამშრომლობისკენ.

გამომცემლობა "უსტარი" აქცენტს მხატვრულ ლიტერატურაზე, ლექსიკონებისა და საგანმანათლებლო დამხმარე ლიტერატურის გამოცემაზე აკეთებს. კალენდარი "გაიცანი საქართველო - 366 დღე, 2012" უცხოელი ტურუსტებისათვის გზამკვლევად იყო ჩაფიქრებული, მისი იდეა თამარ ნაჭყებიას და ნონა მამისეიშვილს ეკუთვნის. თავმოყრილმა მასალამ გამომცემლებს აჩვენა, რომ კალენდარი საინტერესო საკითხავი იქნებოდა ქართველებისთვისაც, ვინაიდან მასში თავმოყრილია ინფორმაცია ქართული ადათ-წესების, კულტურის, ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ. ყოველი დღე იხსნება შესაბამისი ფოტოთი, რომელსაც თან ერთვის ორენოვანი ინფორმაცია. კალენდარში გაეცნობით ქართულ ოქრომჭედლობას, მხატვრობას და ქანდაკებას, სახალხო თამაშობებს და დღესასწაულებს, ფარდაგებსა და ეროვნულ სამოსელს, ციხე-სიმაგრეებსა და მღვიმეებს, არქეოლოგიურ გათხრებს და თანამედროვე შენობა-ნაგებობებს; შეხვდებით ინფორმაციას რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შესახებ და თავსგადახდენილ ისტორიულ ბრძოლებზე და სხვა. მართალია, გამომცემლობა "უსტარმა" "გაიცანი საქართველო" კალენდრის ნომინაციაში წარადგინა, მაგრამ კონკურსის ორგანიზატორებმა ჩათვალეს, რომ იგი უფრო მნიშვნელოვანი პროდუქტი იყო, ვიდრე კალენდარი და რბილყდიანი წიგნების ნომინაციაში გადაიტანა.

"უსტარი" პირველი ქართული გამომცემლობაა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კონკურსში Gold Ink და როგორც მისმა დირექტორმა თამარ ნაჭყებიამ გვითხრა, კონკურსის ორგანიზატორებისათვისაც საინტერესო იყო ახალი ქვეყნის გამოჩენა. "უსტარი" კიდევ ერთი საერთაშორისო კონკურსიდან ელის პასუხს. SIA - SUMMIT INTERNATIONAL AWARDS მონაწილეებისაგან ეფექტური მარკეტინგის ნიმუშს ითხოვს. "უსტარმა" აქ მიხო მოსულიშვილის კინორომანი "ჰელესა" წარადგინა, როგორც დაბალბიუჯეტიანი გამოცემა, რომელიც გათვლილია არა მხოლოდ ქართველი, არამედ თურქი მკითხველისთვისაც - მასში მოთხრობილია ქართველებისა და ლაზების საუკუნოვანი ურთიერთობების შესახებ. ვინაიდან თურქეთში 15 მილიონი ლაზი ცხოვრობს, ხოლო რომანი კეთილ სამეზობლო ურთიერთობაზე მოგვითხრობს და ადამიანურ ფასეულობებს გვახსენებს, თურქული გამომცემლობების მხრიდან მისით დაინტერესების ალბათობა ძალიან მაღალია. SUMMIT INTERNATIONAL AWARDS- ისთვის ქართულ მხარეს მარკეტინგული ჩანაფიქრი მოუწონა, ხოლო, თუ როგორი იქნება ჟიურის გადაწყვეტილება, ამას ოქტომბერში შევიტყობთ.

ფოტოგამოფენა "ქრისტიანული ხელოვნების საგანძური"

დღეს, 12 სექტემბერს, 14 საათზე, მცხეთაში, სვეტიცხოველის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა ფოტოგამოფენა "ქრისტიანული ხელოვნების საგანძური," რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადებიდან მე-80 წელს ეძღვნება.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ისეთი ცნობილი ექსპონატების ფოტოასლები, როგორებიცაა ხახულის კარედი, ანჩისხატი, ბედიის ბარძიმი, წილკნის ღვთისმშობლის ხატი და სხვა.

ღონისძიებას დაესწრებიან საპატრიარქოს, ხელისუფლებისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა.

გამოფენა მცხეთაში სამ კვირას გასტანს და სკოლის მოსწავლეებს, მათ პედაგოგებს, ადგილობრივ მოსახლეობას, აგრეთვე, მცხეთის დამთვალიერებლებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ ქართულ საგანძურს. გამოფენის კურატორები 5 დღის განმავლობაში ჩაატარებენ შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის.

მცხეთიდან გამოფენა გადაინაცვლებს სტეფანწმინდაში და მთლიანობაში 15 ქალაქს მოივლის (სიღნაღი, თელავი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, მესტია, ამბროლაური, რუსთავი, სტეფანწმინდა, ბათუმი, მცხეთა, თბილისი). გამოფენა 2013 წლის 1 ივნისამდე გაგრძელდება.

აღნიშნული ფოტოგამოფენა პირველად 2008 წელს მოეწყო საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის ხელშეწყობით და მიტროპოლიტ დანიელის ინიციატივით.

გამოფენის ორგანიზატორები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი და საქართველოს ეროვნული მუზეუმი. **24 საათი**

"თბილისი – ელექტროღამე – 2012"

დიჯეების საერთაშორისო ფესტივალი

თბილისის მერიის მხარდაჭერითა და კომპანია "რეამბიშენს"-ის (Reambitions) ორგანიზებით დიჯეების საერთაშორისო ფესტივალი "თბილისი ელექტრო ღამე 2012" გაიმართება.

ფესტივალში მონაწილეობენ მსოფლიოში ცნობილი უცხოელი დიჯეები:

FER FERRARI/Buenos Aires, AMIR GROOVE/London, JOHNNY FIASCO/Chicago, JUNIOR LOPEZ/Barcelona და ექვსი ცნობილი ქართველი დიჯეი - The Forest, Gio Shengelia, Tomma, Jorjick, Bero, Mouse.

ფესტივალის ფარგლებში პარასკევს, 21 სექტემბერს, 17:00სთზე, სასტუმრო "Holiday Inn"-ში (II სართ. Idea Room) მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მუსიკალური ლეიბლი DeepClass Records-ი ხუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისში სემინარს ქართველი მუსიკოსებისთვის გამართავს.

ევროპის ელექტრონული მუსიკის წამყვანი სტუდიისა და საპროდიუსერო კომპანიის DeepClass Records-ის მოქმედი პროდიუსერები და ხელმძღვანელები ელექტრონული მუსიკალური ინდუსტრიის მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრებენ. სემინარზე მოწვეულნი იქნებიან ქართული ელექტრონული მუსიკის პროდიუსერები და შემსრულებლები.

DeepClass Records ერთ-ერთი იმ ლეიბლთაგანია, რომელმაც დღემდე არ უარყო საკუთარი პირველადი ფასეულობები და ელექტრონული მუსიკალური მიმდინარეობის Deep Lounge & House Techno-ს ერთგული დარჩა. განვლილი მრავალი წლის მანძილზე განხორციელებული პროექტების შემდეგ, 2007 წელს იგი, როგორც კომპანია, მუსიკოსმა Fer Ferrari-მ ჩამოაყალიბა ქალაქ ბარსელონაში,

მრავალწლიანი შრომის შედეგად ლეიბლმა საკუთარ სიას ისეთი მუსიკოსების სახელები შემატა, როგორებიცაა: Lukas Greenberg, Daniel Kyo, Jay West, Hector Couto, Pol On, Danny Tenaglia, Jhon Digweed, Markus Schulz, Dj Sneek, Mark Farina, Pete Moss, Inland Knights, Slam, Dubfire, Halo და ა.შ.

სემინარს წარუძღვებიან: Fer Ferrari - ცნობილი ანდეგრაუნდ ლეიბლის «Deepclass Records»-ის დამფუძნებელი (ანდეგრაუნდ მუსიკა); Amir Groove - ცნობილი ონლაინ რადიოსა და იბიცაზე მოქმედი "Ibiza Sonica" - ს წამყვანი (მუსიკისა და დიჯეების პოპულარიზაცია რადიოს საშუალებით); Johnny Fiasco - Cikago/Deep House Techno; Junior Lopez - barselona/Deep House Techno. ოთხივე მოწვეული მუსიკოსი მსოფლიოში ცნობილი მუსიკალური ლეიბლის DeepClass Records-ის წარმომადგენლები არიან. მათი მუსიკალური მიმდინარეობაა Deep Lounge & House Techno. **24 საათი**

105 წელიწადი ილიას მკვლელობიდან

პირველი გვერდიდან

*ამჯერადაც ამ თემასთან მიბრუნების კიდევ ერთი ფრიად ღირსშესანიშნავი საბაბი გვაქვს - თელავის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ისტორიის დოქტორმა **თენგიზ სიმაშვილმა** არქივებში დამატებით აღმოაჩინა დოკუმენტები, რომელთა მეშვეობითაც, მკვლევარის სიტყვებით რომ ვთქვათ, პასუხი კითხვაზე - ვინ მოკლა ილია? - არა მარტო გაცემულია, არამედ სრულად დადასტურებულია ბოროტმოქმედთა ვინაობა. თენგიზ სიმაშვილი, აღმოჩენილი დოკუმენტების საფუძველზე, ამზადებს კიდევ ერთ ვრცელ სამეცნიერო სტატიას, რომელსაც უახლოეს მომავალში შესთავაზებს მკითხველს. მანამდე კი, გთავაზობთ ინტერვიუს მეცნიერთან.*

- ბატონო თენგიზ, როგორც თქვენი სამეცნიერო ნაშრომებიდან და ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ჩანს, თქვენი კვლევის შედეგები უტყუარად ასაბუთებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ილიკო იმერლიშვილის მონაწილეობას. თქვენი სიტყვებით, ბოლო ხანებში აღმოჩენილი დოკუმენტები უკვე აღარ ბადებს არანაირ კითხვას, რომ ილიკო იმერლიშვილი - სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტი, ივანე ინაშვილთან, გიგლა ბერბიჭაშვილთან და პავლე ფშავლიშვილთან ერთად, იყო ილიას მკვლელობის მეოთხე მონაწილე.

- დიახ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი და ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალები და უამრავი დოკუმენტი აქამდეც ადასტურებდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ილიკო იმერლიშვილის მონაწილეობას. როგორც მკითხველისათვის ცნობილია, პირადად მე თქვენი გაზეთის ფურცლებზე უკვე დავბეჭდე რამოდენიმე დოკუმენტი და მათზე დაყრდნობით გამოვაქვეყნე სამეცნიერო სტატია ჟურნალ "ცისკრის» 2012 წლის მე-6 ნომერში. ასევე ამ თემას ეხება 2011 წელს გამოსული ჩემი მონოგრაფია - "სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები" (ილიას მკვლელთა ვინაობისათვის).

ჩემს მიერ დღემდე მოძიებულ დოკუმენტებში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ილიკო იმერლიშვილი იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მეოთხე მონაწილე, ანუ "იმერელად" წოდებული ის თავდამსხმელი, ვისი ვინაობის დადგენაც არც მეფის და არც საბჭოთა ხელისუფლებამ არ მოისურვეს. მათი ასეთი ქმედებების მიზეზებს ახლა არ შევეხები, ისინი კარგად მაქვს მეც და ბატონ ნოდარ გრიგალაშვილსაც გაანალიზებული და განხილული ჩვენს წიგნებში თუ ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში.





მკითხველის მიერ ინფორმაციის უკეთ აღქმის მიზნით, მე ახლა ქრონოლოგიურად ჩამოვთვალი იმ საარქივო დოკუმენტებს, სადაც მითითებულია ილიას მკვლელობის მეოთხე მონაწილის, ილიკო იმერლიშვილის ვინაობა.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ეს დოკუმენტები ასე გამოიყურება:

1907 წელი - "თბილისის სამძებრო პოლიციის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიების საქმეში", სხვა მასალებთან ერთად, გვხვდება პოლიციის ჩინოვნიკის (ასე ვთქვათ, სამძებრო პოლიციის ოპერატიული თანამშრომლის) მიერ თბილისის პოლიციის ძებნის განყოფილების უფროსისადმი - პ. ევტუშევსკისადმი მიწერილი 1907 წლის 4 სექტემბრით დათარიღებული წერილი:

"ძვირფასო პეტრე ალექსანდრეს ძევ!

როგორც მე საიდუმლოდ მოვიკვლიე, ამჟამად მიცვალებულ თავად ჭავჭავაძეზე დანაშაულის ჩადენის შესახებ უნდა იცოდეს დუშეთის მაზრის სოფ. მცხეთის მცხოვრებმა, სახელით "ილია მცხეთელი". ის თუ არ მონაწილეობდა დანაშაულში, მან ყველაფერი მაინც იცის, ვინ ჩადის მსგავსი სახის დანაშაულს. ამიტომ ვვარაუდობ, რომ ის დავიჭიროთ. ამის გარდა, აუცილებელია დაჭერა ასევე მეფაიტონის, რომელიც, როგორც მოვიკვლიე, იცნობს პირებს, ვინც ჩაიდინა თავად ჭავჭავაძის მკვლელობა.

უღრმესი პატივისცემით



თქვენი გ. ფიცხელაური

4 სექტემბერი 1907 წელი

ქ. ტიფლისი." (წერილის სტილი დაცულია) [272] (იხ. ფოტო დოკ.1)

ამრიგად, 1907 წლის 4 სექტემბერს უკვე ცნობილი იყო, რომ "ილია მცხეთელი" შესაძლოა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მეოთხე მონაწილე იყო. გამოძიებამ კი მხოლოდ ამ წერილში ნახსენები მეფაიტონე, ანუ მეეტლე თ. ლაბაური დააპატიმრა. შემდეგშიც "ილია მცხეთელი"-ს ვინაობის დადგენის მიმართულებით არავითარი კვლევა-ძიება არ უწარმოებიათ.

მკითხველი არ დაიბნეს, როდესაც წაიკითხავს ამ ინფორმაციას. საქმე ისაა, რომ იმ დროს თბილისში ილიკო იმერლიშვილის მეტსახელი ოციალ-დემოკრატების ორივე ფრთის წარმომადგენელ რევოლუციონერებს შორის იყო "მცხეთელი" ანუ "ილია მცხეთელი", რადგან იგი წარმოშობით მცხეთიდან იყო, მაგრამ რაც შეეხება დუშეთის მაზრას, აქ მისი მეტსახელი იყო "იმერელი", გამომდინარე მისი გვარიდან.

1910 წელი - "ილიკო იმერლიშვილი, მეტსახელით "იმერელი", მოხსენიებულია დუშეთის მაზრის მსხვილი მემამულის, თავად ნიკოლოზ (ნიკა) ხიმშიევის (ხიმშიაშვილი) ახლობლების მიმოწერაში. მეტიც, ნიკოლოზ ხიმშიევის მკვლელობის გამოძიების დასკვნით, 1909 წლის 7 ოქტომბერს, დღის სამ საათზე, დუშეთის მაზრის სოფელ აბანოთხევში იგი წინასწარი განზრახვით მოკლეს ილია (ილიკო) იორდანეს ძე იმერლიშვილმა, ვასილ დათუნაიშვილმა, ლადო ფეიქრიშვილმა, გიგლა ბერბიჭაშვილმა. 1909 წლის 28 მარტის თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის წარდგინებაში, თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის სახელზე, მითითებულია ნ. ხიმშიევის მკვლელობის ორი მოტივი. კერძოდ, პირველი ესაა გლეხების მტრობა თავად ნ. ხიმშიევის მიმართ, რომელიც 1905 წელს ეკონომიკურ ურთიერთობათა ნიადაგზე წარმოიშვა; და მეორე, შუ-

105 წლიწადი ილიას მკვლელობიდან

რისძიება ნიკოლოზ ხიმშიევზე, რადგან იგი პოლიციას ილია ჭავჭავაძის მკვლელების დაჭერაში ხელს უწყობდა.

მოწმეთა დაკითხვების, საგამოძიებო მოქმედებების სრულყოფილად გატარების შემდეგ შედგენილ უფრო გვიანდელ, 1911 წლის 10 იანვრის თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის წარდგინებაში, თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის სახელზე, ნიკოლოზ ხიმშიევის მკვლელობის მხოლოდ ერთი მოტივიღაა მითითებული - "ნიკოლოზ ხიმშიევის ქმედითი მონაწილეობა თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელების ძებნაში."

"თავადი ნიკოლოზ ხიმშიევი ხშირად ამბობდა, რომ მას ეშინია ის არ მოკლან ილია იმერლიშვილმა, გიგლა ბერბიჭაშვილმა და ლადო ფეიქრიშვილმა, რადგან ის (ნ. ხიმშიევი - თ.ს.) მათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამო სდევნიდა." - ნათქვამია დოკუმენტში. თბილისის მაზრის უფროსის კ. შანშიევის ჩვენებით კი, ნ. ხიმშიევის მკვლელობამდე ერთი წლით ადრე, ამ უკანასკნელის დის ქმარმა კონსტანტინე კავრიევმა მას განუცხადა, რომ: **"ილია იმერლიშვილის და პავლე ფშავლიშვილის ბანდას განზრახული აქვს თავად ხიმშიევის მოკვლა, რადგან იგი ღიად დევნის თავად ჭავჭავაძის მკვლელებს."** (აღნიშნული დოკუმენტი უკვე დაიბეჭდა გაზეთ "24 საათის" 5 ივნისის ნომერში)





1914 წელი **-** ილიკო იმერლიშვილი ასევე დასახელებულია ილიას მკვლელობის მონაწილედ 1914 წლით დათარიღებულ დოკუმენტებში, რომლებიც გამოვაქვეყნე თქვენი გაზეთის და ჟურნალ "ცისკრის» ფურცლებზე ამა წლის ივნისში.

მკითხველს შევახსენებ, რომ ესაა თბილისის სამძებრო პოლიციის საქმე, რომელიც ეხება ილიკო იმერლიშვილის დაკავების ოპერაციას. სწორედ მასში აღმოჩნდა საარქივო დოკუმენტები, რომლებიც უტყუარად ასაბუთებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრთის და უშუალოდ ილიკო იმერლიშვილის "წითელი რაზმის" მონაწილეობას ილიას მკვლელობაში. 1914 წლის 15 იანვრით და 1914 წლის 1 თებერვლით დათარიღებული თბილისის სამძებრო პოლიციის განყოფილების უფროსის მიერ თბილისის პოლიცმეისტერის და ასევე თბილისის საგანგებო საქმეთა გამომძიებლის სახელზე დაწერილ რამდენიმე გვერდიან მოხსენებებში, სიტყვა-სიტყვით წერია შემდეგი: **"ილიკო იმერლიშვილმა, თავისი დაჯგუფების წევრებთან ერთად, ჩაიდინა უამრავი მკვლელობა კერძო და თანამდებობრივი პირებისა, სოფლის მამასახლისებისა, სტრაჟნიკებისა, მემამულე თავად ილია ჭავჭავაძისა (ქართველი მწერლის)."** (აღნიშნული დოკუმენტი უკვე დაიბეჭდა გაზეთ "24 საათის" 5 ივნისის ნომერში)

1941 წელი **-** ამ წელს ილია ჭავჭავაძის მკვლელად ილიკო იმერლიშვილს ასახელებდა დიმიტრი ჯაშის მეუღლე დარია ჯაში. მან ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1941-1942 წლებში, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილის გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესამდე, 1941 წლის 6 ივნისს წინასწარი დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაში, გამომძიებლის კითხვაზე - "ვინ ღებულობდა მონაწილეობას ილიას მკვლელობაში?" - გასცა შემდეგი პასუხი: **"როგორც შემდეგ გავიგე, ილიას მკვლელობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ინაშვილი - ყოფილი მამასახლისი, იმერლიშვილი, რომელსაც კარგად იცნობდა დიმიტრი, ფშავლიშვილი გრიგოლა, როგორც მახსოვს ფეიქრიშვილი იყო გაქცეული ყაჩაღად ტყეში."[იხ. დოკ. 2]**

- ინტერვიუს დასაწყისში თქვენ განაცხადეთ, რომ მოიპოვეთ დამატებითი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ ილიკო იმერლიშვილი იყო ილიას მკვლელობის უშუალო მონაწილე.

- დიახ, მე კვლავ ვაგრძელებ კვლევა-ძიებას საქართველოს საისტორიო ცენტრალურ, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების, კინო-ფოტო დოკუმენტების ცენტრალურ არქივებში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო ფონდებში. მინდა გითხრათ, რომ უკვე ჩემს ხელთაა უამრავი საარქივო დოკუმენტი და სხვა მასალა, რომლებიც პირდაპირ და ირიბად ადასტურებენ ზემოთ მოყვანილი დოკუმენტების ნამდვილობას.

მაგალითად, ჩემს მიერ მოძიებულ ერთ-ერთ საარქივო საქმეში, რომელიც შეეხება ილიას მკვლელობაში მონაწილე პირებთან კავშირში მყოფი ადამიანების საქმის გამოძიებას, აღმოჩნდა რამოდენიმე ძალიან საინტერესო დოკუმენტი.

მათგან პირველ რიგში მინდა მოვიყვანო 1908 წლის 25 დეკემბრით დათარიღებული ოქმი, სადაც აბესალომ გიორგის ძე ფაღავა, დუშეთის მაზრის პოლიციის ჩაფრების(სტრაჟნიკები) უფროსი ურიადნიკი წერს, რომ **"პავლე ფშავლიშვილთან ერთად, მის ბანდაში იმყოფებოდნენ - 1. პავლე ფშავლიშვილი, 2. იმერლიშვილი, 3 ნონე მჭედლიშვილი, 4. სანდრო მჭედლიშვილი, 5. ლაზარე გაბიტაშვილი, 6.გიორგი წიკლაური 7. ბასილ სიღნაღელი, 8. თელაველი ლადო, 9.ვანო ინაშვილი, 10 თუში ვანო ამანა, 10. რუსი დოროშენკო, 12 გიგლა ბერბიჭაშვილი, 13. გიორგი პარხაშვილი." [იხ. დოკ. 3-4]**

ანუ აბესალომ გიორგის ძე ფაღავა, სავარაუდოდ, ყარამან გიორგის ძე ფაღავას, დუშეთის მაზრის ყოფილი უფროსის ძმა, კარგად იცნობდა დუშეთის მაზრაში მოქმედი ერთ-ერთი "წითელი რაზმის" შემადგენლობას. არადა არც ყარამან ფაღავა, რომელიც ამ პერიოდში კვლავ დუშეთის მაზრაში მოღვაწეობდა და არც გიგლა ბერბიჭაშვილი საბჭოთა სასამართლოზე საერთოდ არ ახსენებდნენ ილიკო იმერლიშვილს.

მკითხველს შევახსენებ, რომ ყ. ფაღავა და გ. ბერბიჭაშვილი 1941-1942 წლებში გამართულ გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე ილიას მკვლელობის მეოთხე მონაწილედ ასახელებდნენ ლადო ფეიქრიშვილს. მომყავს, მხოლოდ ერთი მაგალითი ყარამან ფაღავას ჩვენებებიდან, სადაც ის ამბობს: "ბერბიჭაშვილი, ინაშვილი, ფშავლიშვილი და მეოთხეც იყო, გვარი არ მახსოვს, ესენი იყვნენ მკვლელები." და სწორედ ამ დროს, განსასჯელი გ. ბერბიჭაშვილი, მოსამართლის მხრიდან პირადად მისთვის ყოველგვარი ზედმეტი შეკითხვის გარეშე ამატებს: "მეოთხე ფეიქრიშვილი იყო." ანუ, როგორც დღეს ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების ანალიზიდან ჩანს, ერთი მხრივ დუშეთის მაზრის ყოფილი უფროსი ყ.ფაღავა და მეორე მხრივ გ. ბერბიჭაშვილი - სოციალ-დემოკრატი ტერორისტი, გარკვეულ მიზეზთა გამო, აშკარად ტყუოდნენ. ნათელია, რომ მათ მიერ ილიკო იმერლიშვილის დაფარვის მიზეზი იყო ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, ისევე როგორც ადრე მეფის ხელისუფლებას, არ სურდა სიმართლის გამჟღავნება. ჩემს დასკვნას მთლიანად ადასტურებს ამავე საარქივო საქმეში აღმოჩენილი 1908 წლით დათარიღებული დოკუმენტი.

ესაა 1908 წლის 25-31 დეკემბრით დათარიღებული დოკუმენტი - რამდენიმე გვერდიანი ოქმი, რომელიც შეუდგენია დუშეთის მაზრის ბაზალეთის ნაწილის პრისტავ ოზიევს. პ. ფშავლიშვილთან და მის "თანამებრძოლებთან" კავშირში ეჭვმიტანილი ერთ-ერთი პირის დაკითხვის ამ ოქმში სიტყვა-სიტყვით წერია შემდეგი: **"დაკითხვისას დაკავებულმა ახსნა, რომ ამა წლის მაისში ის შემთხვევით შეუერთდა ფშავლიშვილის ბანდას, რომელშიც მონაწილეობდნენ: თვით ბანდის მეთაური ფშავლიშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელები: ივანე ინაშვილი და გიგლა დარჩოს ძე ბერბიჭაშვილი და სოფ. მცხეთის მცხოვრები ილიკო იმერლიშვილი და მრავალი სხვა, რიცხვით 19(13)კაცამდე." [იხ. დოკ. 5]**

ანუ ამ დოკუმენტში კონკრეტულად ამ ნიშნით - **ილია ჭავჭავაძის მკვლელები** -პირდაპირაა გამოყოფილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილე ოთხი პირი.

ამრიგად, ზემოთ დასახლებული 1907, 1908, 1910, 1914და 1941 წლით დათარიღებული დოკუმენტები ერთობლიობაში ავსებენ ერთმანეთს და საბოლოოდ ადასტურებენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მეოთხე მონაწილის ვინაობას.

ბუფონი 2016 წლამდე

ტურინის "იუვენტუსის" მეკარე ჯანლუიჯი ბლუფონი 2016 წლამდე გააგრძელებს კლუბთან კონტრაქტს. ახალი კონტრაქტის თანახმად, ბუფონის წლიური ანაზღაურება 4 მილიონი ევრო იქნება.

ჯიჯი 2001 წლიდან თამაშობს "იუვენტუსში" და 2016-ში უკვე 38 წლის იქნება.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი: "მე ცოცხალი ლეგენდა ვარ"

ზლატან იბრაჰიმოვიჩი მშობლიურ ქალაქ მალმიოში დიდების ხეივანში შეიყვანეს. ამ ფაქტის შემდეგ პსჟ-ში მოთამაშე შვედმა ფორვარდმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

"ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. ეს ნიშნავს, რომ კარიერის მანძილზე რაღაც ღირებული გავაკეთე. ამბობენ, ადამიანი სიცოცხლეში ლეგენდა ვერ გახდებაო, მაგრამ მე ცოცხალი ლეგენდა ვარ. ყოველ შემთხვევაში, მალმიოს მასშტაბით მაინც".

ფალკაო 71 მილიონად შეაფასეს

მადრიდის "ატლეტიკო" მზადაა შეელიოს თავის მთავარ ვარსკვლავს, კოლუმბიელ ფორვარდს რადამელ ფალკაოს იმ შემთხვევაში, თუ მისი შეძენის მსურველი გუნდი 71 მილიონ ევროს გადაიხდის. ამ ინფორმაციას ესპანური გამოცემა El Mundo Deportivo ავრცელებს. ერთი წლის წინ მადრიდელებმა რადამელში პორტუგალიურ "პორტუს" 47 მილიონი ევრო გადაუხადეს. ახლა ფალკაოს შეძენა "ჩელსის", "სიტის" და "რეალს" სურთ.

ფერგიუსონს ლათინოამერიკელები სჭირდება

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს მიაჩნია, რომ კარგი იქნება, თუ მის გუნდში მეტი ლათინოამერიკელი ითამაშებს. "ლათინურ ამერიკაში მშვენიერ საფეხბურთო პროდუქტს ამზადებენ. ფეხბურთის მიმართ სიყვარული იქ სისხლში აქვთ გამჯდარი. ჩვენი ბრაზილიელები - ანდერსონი, რაფაელი და ფაბიო ყოველ დილით ყველაზე ადრე მოდიან ვარჯიშზე. მათთვის ვარჯიშიც კი სიამოვნებაა. იგივე შემიძლია ვთქვა ანტონიო ვალენსიასა და ხავიერ ერნანდესზე. ჩვენ გვყავს წარმომადგენლები მექსიკაში, ბრაზილიასა და ლათინური ამერიკის კიდევ რამდენიმე ქვეყანაში. ბოლო წლებში ბევრი ვიმუშავეთ, თუმცა, მიმაჩნია, რომ კიდევ უფრო მეტად უნდა ვიაქტიუროთ ამ ბაზარზე", - ამბობს სერ ალექს ფერგიუსონი.

იოვეტიჩი 2013 წელს დატოვებს "ფიორენტინას"

იტალიური "ფიორენტინას" მონტენეგროელ ნახევარმცველ სტევან იოვეტიჩზე არაერთი გრანდი ოცნებობს, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელი აქამდე ფლორენციული გუნდის ერთგული რჩებოდა.

სააგენტო goal.com-ის ინფორმაციით, სტევანი კიდევ ერთ სეზონს გაატარებს "იების" შემადგენლობაში და 2012-13 წლების დასრულებისთანავე დატოვებს გუნდს.

იოვეტიჩის შეძენა "იუვენტუსსა" და "სიტის" სურთ.

ნანი ფულს ითხოვს

ზაფხულში "მანჩესტერის" პორტუგალიელი ნახევარმცველის ნანის შეძენას უშედეგოდ ცდილობდა რუსული "ზენიტი". პორტუგალიელი ფეხბურთელის გაყიდვაზე "მანჩესტერი" უარს არ იტყოდა, მაგრამ ტრანსფერი მაინც ჩაიშალა. როგორც გამოცემა Daily Mail ამტკიცებს, ნანიმ ნევისპირული გუნდის ხელმძღვანელებს დიდი ხელფასი მოსთხოვა. კერძოდ, პორტუგალიელს სურდა, რომ მისთვის კვირაში 130 000 გირვანქა გადაეხადათ, რაზეც "ზენიტის" მფლობელები არ დათანხმდნენ.

ნანი ზუსტად ასეთ ხელფასს ითხოვს "მანჩესტერისგანაც", რის გამოც მანკუნიანურ კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას ვერ ახერხებს.

რაფა ბენიტესს "ლივერპულში" აბრუნებენ

Tribalfootball.com-ის ინფორმაციით, "ლივერპულის" მესვეურებს გუნდში რაფა ბენიტესის დაბრუნება სურთ. ინგლისის ჩემპიონატის პირველ სამ ტურში ბრენდან როჯერსის "ლივერპულმა" ერთადერთი ქულა აიღო და კლუბის მესვეურებს ამის შემდეგ გაუჩნდათ ბენიტესის დაბრუნების სურვილი. ესპანელი მწვრთნელი ახლაც ინგლისში ცხოვრობს და არ მალავს, რომ "ლივერპულში" დაბრუნება სურს.

ჩოგბურთის, ბოიკოტისა და ფულის ზოგადი თეორია

US Open-ის დაწყებასთან ერთად საჩოგბურთო სამყაროს ყურადღება დაკავებულია მოთამაშეთა მიერ Australian Open 2013-ის შესაძლო ბოიკოტის საკითხით. რა გახდა კამათის მიზეზი და ვინ არის მართალი შექმნილ სიტუაციაში?

თოთხმეტი წლის წინ ნიუ იორკში მოხდა მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ვაჟთა ჩოგბურთი. ლაპარაკია ცნობილ პრესკონფერენციაზე", რომელზეც ჩოგბურთელებმა განაცხადეს ATR-ტურის შექმნის შესახებ, შეჯიბრებათა მართვის აბსოლუტურად ახალი პრინციპებით. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ჩოგბურთის ცალკეული ასპექტები უცვლელი დარჩა. ლაპარაკია სეზონის ყველაზე "ფულიანი" მოვლენების - Grand Slam-ის ტურნირების შემოსავლების განაწილებაზე.

შარშან, როდესაც რაფაელ ნადალი და ენდი როდიკი ლაპარაკობდნენ ტურნირების ბოიკოტის შესახებ იმის საფუძველზე, რომ შეჯიბრებათა მჭიდრო კალენდრის გამო წამყვანი ჩოგბურთელების დატვირთვები მეტისმეტად გაიზარდა, ATR-ის მოთამაშეთა საბჭოს თამჯდომარემ მათ მხარი არ დაუჭირა. როჯერ ფედერერმა, ჩოგბურთის ცოცხალმა ლეგენდამ და, მრავალი მიმომხილველის აზრით, ATR-ის ხელმძღვანელობის "რუხმა კარდინალმა" მხარი არ დაუჭირა მეამბოხეებს. მისი აზრით, ვაჟთა ჩოგბურთის მთავარი პრობლემა არა წამყვანი ჩოგბურთელების, არამედ ჩოგბურთის ბაზისის - მეორე და მესამე ეშელონების მოთამაშეთა მდგომარეობაა.

შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს ამ აზრის მართებულობა. კალენდრის კრიტიკა თანდათან ჩაწყნარდა და პირველ ადგილზე ისევ გავიდა მსოფლიო რეიტინგის პირველ ასეულს მიღმა მყოფი ჩოგბურთელების პრობლემები.

რასაკვირველია, Grand Slam-ის ტურნირების კომერციული მიმზიდველობა ხდის მათ სპორტულ ელდორადოდ. მაგალითად, Australian Open-ის ორგკომიტეტმა მიმდინარე სეზონში გამოაცხადა საპრიზო ფონდის რეკორდული ზრდა - 24.7 მილიონი დოლარი. თუმცა, ამ გარეგნული მიმზიდველობის მიღმა იმალება ერთი პატარა "მაგრამ"; უფრო სწორად, ერთი კი არა, ორი. ჯერ ერთი, თვითონ ჩოგბურთელების საპრიზო ფონდი შეადგენს ორგკომიტეტების მთლიანი შემოსავლების ოც პროცენტს. ბევრია ეს თუ არც ისე?

შედარებისთვის, შარშან აშშ-ის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გამოცხადდა ლოკაუტი (ყველა სათამაშო და საქმიანი ოპერაციის დროებითი შეჩერება), რომლის მიზეზი გახდა მოთამაშეთა და კლუბების მფლობელთა დაპირისპირება. კალათბურთელთა უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ მათი წილი ლიგის შემოსავლების განაწილებაში შეადგენს ორმოცდაჩვიდმეტ პროცენტს (?|). შეადარეთ ეს ჩოგბურთელების ოც პროცენტს და ამავე დროს შეადარეთ კალათბურთელებისა და ჩოგბურთელების სპორტული სეზონების სირთულე.

მეორე, ამ შედარებისას მხედველობაშია მისაღები, რომ NBA-ში სატრანსპორტო და სასტუმროს ხარჯების დაფარვა ევალება კლუბებს. ჩოგბურთელს კი მსოფლიოს (და არა კონტინენტის, როგორც NBA-ში) ნებისმიერ კუთხეში ჩასვლა უწევს საკუთარი ხარჯით. ბუნებრივია, ნოვაკ ჯოკოვიჩისთვის ან როჯერ ფედერერისთვის ეს ხარჯები პრობლემა არ არის, მაგრამ მსოფლიო რეიტინგის მეორე ასეულის პირობითი ჩოგბურთელისთვის მელბურნში ჩასვლა მხოლოდ იმისთვის, რომ დამარცხდეს პირველივე წრეში, ძვირი სიამოვნებაა.

თუ შევადარებთ დღევანდელი და ოცი წლი წინანდელი ლიდერების შემოსავლებს, ზრდის ტენდენცია აშკარაა. როჯერ ფედერერმა თავისი კარიერის განმავლობაში გამოიმუშავა 73 მილიონ დოლარზე მეტი, რაფაელ ნადალმა - 50, ხოლო ნოვაკ ჯოკოვიჩმა - თითქმის 39 მილიონი დოლარი; მაშინ, როდესაც ივან ლენდლის ჯამურმა საპრიზო თანხამ შეადგინა დაახლოებით 21, სტეფან ედბერგის - 20, ხოლო ჯონ მაკინროის - 12.5 მილიონი დოლარი. სხვაობა თვალშისაცემია.

ამავე დროს რეიტინგის მეორე და მესამე ასეულის ჩოგბურთელების საპრიზო თანხები უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა. 2012 წელს პირველივე წრეში დამარცხებული ჩოგბურთელი Australian Open-ზე იღებდა 21.6 ათას დოლარს, "როლან გაროზე" - 22.5 ათასს, ხოლო უიმბლდონზე - 23 ათასს. ეს მონაცემები მიმდინარე სეზონისაა, როდესაც პირველივე რაუნდში დამარცხებულ უიღბლოთა საპრიზო თანხა გაიზარდა ოცი პროცენტით.

თუ ვიანგარიშებთ ჩოგბურთელის, მისი მწვრთნელისა და გუნდის სხვა წევრების მელბურნამდე მგზავრობის, კვების, ბინის, კორტების ქირაობისა და პროფესიონალი სპორტსმენისთვის სხვა აუცილებელ ხარჯებს, გამოგვივა 21 ათას დოლართან სავსებით შესადარი თანხა.

"დაბალრეიტინგიანი ჩოგბურთელები არც ისე ბევრს იღებენ. ამავე დროს მათ თვითონ უწევთ ხარჯების გაღება, რაც არ ხდება პროფესიულ გუნდებში. ეს ის ხალხია, ვინც საჭიროებს პრივილეგიებს", - თვლის ამერიკელი ენდი როდიკი.

ამრიგად, ნიუ-იორკი ასევ გახდა ჩოგბურთის მომავლის განმსაზღვრელი შეკრების ადგილი, სადაც გაჩნდა Australian Open 2013-ის ბოიკოტისა და ალტერნატიული ტურნირის დუბაიში ჩატარების შესაძლებლობა. ზღაპრულად მდიდარი შეიხების დიდი ხნის ოცნებაა Grand Slam-ის ერთ-ერთი ტურნირის მასპინძლობა და მიზანთან მიახლოებისთვის არაფერს არ დაიშურებენ.

ბოიკოტის საფრთხის სერიოზულობას ადასტურებს ისიც, რომ ჩოგბურთელთა ამ შეკრებას ხელმძღვანელობდა სწორედ ფედერერი. მართალია, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ჩვეულ, დიპლომატიურ სტილში აარიდა თავი პირდაპირ პასუხს შეკითხვაზე შეკრებაზე განხილული საკითხების შესახებ.

"სანამ მე ვარ ATR-ის მოთამაშეთა საბჭოს თავმჯდომარე, არც ერთი "შუალედური" ინფორმაცია არ გაჟღერდება", - მოკლედ მოჭრა შვეიცარიელმა. თუმცა, ATR-ისა და ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის ჩინოსნების რეაქცია საფრთხის სერიოზულობის აშკარა დადასტურებაა.

"ბუნებრივია, ჩვენ ვეთანხმებით მსოფლიო რეიტინგის ტოპ 250-ეულისთვის საპრიზო ფონდის გაზრდის აუცილებლობას, - განაცხადა Australian Open-ის ორგკომიტეტის თავმჯდომარემ კრეიგ ტაილიმ AAP-ს სააგენტოს კორესპონდენტებთან საუბარში. მათი შემოსავალი ძლივს აღწევს იმის მეოთხედს, რასაც იღებენ იმავე დონის სპორტსმენები გოლფში". "ახლა ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ მოთამაშეთა საინიციატივო ჯგუფთან - ეს ჩვენს საერთო ინტერესებშია. დარწმუნებული ვარ, მივალთ გადაწყვეტილებამდე, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება," - აღნიშნა ფუნქციონერმა.

რა შედეგი ექნება ამ ისტორიას? ლოკაუტი NBA-ში დასრულდა იმით, რომ მოთამაშეები და კლუბების მფლობელები მივიდნენ კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე შემოსავლების თანაბარი განაწილების შესახებ. ჩოგბურთის პროფკავშირს ასეთი ბრძოლების გაცილებით ნაკლები გამოცდილება აქვს, თუმცა, როჯერ ფედერერის მონაწილეობა ამ პროცესში ტოვებს სასიკეთო შედეგით დასრულების იმედს.

საბოლოოდ გულშემატკივრებმა არ უნდა დაკარგონ იმედი, რომ ჩოგბურთელები და ფუნქციონერები მიიღებენ კომპრომისულ გადაწყვეტილებას და 2013 წლის პირველი "მეიჯორის" გადამწყვეტი მატჩი ჩატარდება არა დუბაიში, არამედ მელბურნში.

შეუსრულებელი მისია

პირველი გვერდიდან

ბოზიდა ბაზსიძის ფოტოები

ესპანეთთან საქართველოს ნაკრებმა სანიმუშო დაცვა ითამაშა

ბევრს ეგონა, რომ "ფურია როხა" ჩამოვიდოდა თბილისში და "ჯვაროსნებს" მუსრს გაავლებდა, ბევრი ამბობდა, რომ ესპანეთი კლასზე მოგვიგებდა დიდად არ გაირჯებოდა, ორ გოლს გაგვიტანდა და შეგვეშვებოდა. ამ ორი მოსაზრებიდან არც ერთი არ გამართლდა. ესპანეთმა მართლაც სცადა კლასზე მოგება, ისე როგორც იგებდა პრაქტიკულად ყველა თამაშს ევროპის ჩემპიონატზე. აუღელვებლად დინჯად, არც ისე სანახაობრივი ფეხბურთის ჩვენებით. თუმცა თბილისში ეს ბოლომდე არ გამოვიდა. ქეცბაიას შეგირდებმა საკუთარი ძალების მაქსიმუმი გაიღეს და ესპანეთს მხოლოდ კლასზე მოგების საშუალება არ მისცეს. "ფურია როხას" გოლი პირველ ტაიმში ან მეორე ტაიმის დებიუტში რომ გაეტანა, ნამდვილად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ვისენტე დელ ბოსკეს გეგმა გამართლდა და ესპანეთმა გააკეთა ის, რაც სურდა, მაგრამ ქართველთა კარში გოლი მხოლოდ მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გავიდა. ასეთ შემთხვევაში კი უფრო გამართლებაზე შეიძლება საუბარი, ვიდრე კლასზე მოგებულ თამაშზე.

ორი ტაიმის განმავლობაში ესპანეთის ნაკრებმა საქართველოს ეროვნული გუნდის კართან ოთხიოდე სახიფათო მომენტი შექმნა, პირველ ტაიმში დავიდ სილვამ გაარტყა ბურთი ძელს, ხოლო ტაიმის მიწურულს ლორიამ ზედიზედ ორჯერ გვიხსნა გოლისგან. მეორე ტაიმში კი ერთადერთი რეალური სახიფათო მომენტი სოლდადოს გოლად იქცა, რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, კასილასის კართან ორი სახიფათო მომენტი შეიქმნა. ერთხელ ბურთი ჩვენც მოვარტყით ძელს, თამაშის ბოლოს კი არ გაუმართლა სირბილაძეს, რომლის დარტყმულიც ესპანელმა მცველებმა საკუთარ თავზე მიიღეს და ქართველებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება არ მისცეს.

თამაშმა არაერთგვაროვანი განწყობა შექმნა. ერთის მხრივ, ესპანეთთან ასეთი მარცხი ნორმალური რამაა, მეორეს მხრივ კი წაგება მაინც წაგებაა. უბრალოდ გააჩნია როგორი კრიტერიუმით მივუდგებით ყველაფერს - ვინც ზედმეტად ამბიციურია და მიაჩნია, რომ საქართველოს ნაკრები 2014 წლის მუნდიალის ფინალური ეტაპის მონაწილე უნდა გახდეს, მან საქართველოს ნაკრების თამაში არადამაკმაყოფილებლად უნდა მიიჩნიოს, ხოლო ვინც მოვლენებს რეალურად აფასებს და მიიჩნევს, რომ საქართველოს ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა უფრო დიდი სასწაული იქნება, ვიდრე ესპანეთის ნაკრებთან თამაშის ფრედ დასრულება იქნებოდა, მან ალბათ, უნდა თქვას, რომ ყველაფერი წესრიგშია. მიმდინარეობს ნაკრების ჩამოყალიბების პროცესი და ქეცბაია აშკარად სწორ გზას ადგას. ესპანეთთან კი დავმარცხდით, მაგრამ ამ თამაშმაც გვიჩვენა, რომ საქართველოს ნაკრებს აქვს იმის პოტენციალი, 2016 წლის ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე გასვლის რეალური პრეტენზია განაცხადოს. მიმდინარე შესარჩევი ციკლი კი იმ მომავალი წარმატების მინიშნა.

პრესკონფერენცია:

ვისენტე დელ ბოსკე (ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ხაზგასმით აღვნიშნავ ქართველთა კარგ დაცვას, მათ ენთუზიზმს და იმ სირთულეებს, რაც მატჩის დროს შეგვიქმნეს.

ქართველებმა მართლაც ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწიეს. საქართველოსთან მატჩის მოგება ბედის ჩვენსკენ გადმოხრამ განაპირობა.

... დღეს ქართულმა გუნდმა ითამაშა სრულიად განსხვავებული თამაში, ვიდრე ეს იყო ბელორუსთან, მაგრამ ჩვენ მოვლენათა ნებისმიერი განვითარებისთვის ვიყავით მზად.

გოლი განხორციელებული ცვლილებების შემდეგ გავიდა. მიზანი იყო ჩვენი თამაში გვეთამაშა. ამ თამაშში ვიმსახურებდით იმას, რომ მოგვეგო.

ქართველებმა მართლაც რომ ორგანიზებულად ითამაშეს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ვთქვი, რომ ვიცოდი ვისაც ვეთამაშებოდით, მაგრამ ამდენსაც არ ველოდით. აშკარად დიდი შთაბეჭდილება მოახდინეთ ჩვენზე.

საქართველოს ნაკრებიდან გამოვყოფ 9, 10 და 11 ნომერს (დავით თარგამაძე, თორნიკე ოქრიაშვილი და ლევან მჭედლიძე), რომლებიც ბევრს და სწრაფად მოძრაობდნენ".

ესპანელთა თავკაცის საუბრიდან, ალბათ, უფრო მეტსაც შევიტყობდით, მაგრამ თარჯიმანი არ იძლეოდა ამის საშუალებას - თარგმანიდან აზრის გამოტანა მეტად ჭირდა.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას საპრესკონფერენციოში შემოსვლას აპლოდისმენტები მოჰყვა. პირველი, რაც გვაინტერესებდა ეს გიორგი ლორიას მდგომარეობა იყო. ეგაა, თემურ ქეცბაიამ ამ შემთხვევაში ბევრი ვერაფერი თქვა, ექიმი არ ვარ, რომ დიაგნოზებს ვსვამდე, პასუხი ხვალ მეცოდინება, თუმცაღა არამგონია სერიოზული ტრავმა იყოსო.

თემურ ქეცბაია (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ლორიაზე პასუხი ხვალ გვეცოდინება. იმედია მძიმე ტრავმა არ აღმოჩნდება.

უღრმესი მადლობა ბიჭებს ამ თავდადებისთვის. მადლობა გულშემატკივარს, რომელიც ბოლომდე გვქომაგობდა.

მართალია ჩვენი მხრიდან იმდენი თამაში არ იყო რამდენიც ბრძოლა და თავდადება, მაგრამ ფეხბურთელები მთელი თამაშის განმავლობაში ბოლომდე იხარჯებოდნენ. სწორედ ამაზე უნდა აშენდეს გუნდი.

როცა ასეთი ბიჭები გყავს შეიძლება იმ გუნდის აწყობა, რომელიც ქართველ ხალხს გაახარებს.

გავითვალისწინოთ ისიც, თუ ვის ვეთამაშებოდით. ესპანეთთან ყველა ასე თამაშობს. ასე რომ, ასე თამაში (დაცვითი) არამგონია სირცხვილი იყოს. ცოტა იღბალიც რომ ყოფილიყო, იქნებ არც წაგვეგო.

რატომ შევცვალე ლევან მჭედლიძე თავდამსხმელითვე? ბოლოს ჩვენც გვქონდა იმედი, რომ შანსი გაგვიჩნდებოდა და გოლს გავიტანდით, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ არცერთ შეცვლას მატჩის ბედი არ გადაუწყვეტია. ამასთან, დიდი დროც არ იყო შეხვედრის დასრულებამდე დარჩენილი. ერთი შეცვლა კი იძულებითი გამოგვივიდა. არა, იმას არ ვამბობ, ასე რომ არ ყოფილიყო კარდინალურად შეცვლებოდა სურათი-მეთქი, მაგრამ გარკვეულად ამანაც იქონია გავლენა.

ჩვენ შორს ვართ იმისგან, რასაც გულშემატკივარი ელოდება. კიდევ ბევრია სამუშაო".

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

საქართველო - ესპანეთი 0:1

საქართველო: ლორია (კვასხვაძე, 73), ლობჟანიძე, კვირკველია, კაშია, ამისულაშვილი, ხიზანიშვილი, კანკავა, დაუშვილი, თარგამაძე (ძალამიძე, 64), ოქრიაშვილი, მჭედლიძე (სირბილაძე, 79).

ესპანეთი: კასილასი, პიკე, ინიესტა, ჩავი, ხაბი ალონსო, სერხიო რამოსი, ბუსკეტსი (პედრო, 57), არბელოა (ფაბრეგასი, 80), ალბა, სოლდადო, დავიდ სილვა (კასორლა, 64).

გოლი: სოლდადო (86)

ფუტზალის ელიტრაუნდს თბილისიც უმასპინძლებს

ფუტზალში უეფას თასის გათამაშების ელიტრაუნდის ერთ-ერთ მინიტურნირს თბილისიც უმასპინძლებს. ფუტზალის უეფას თასზე საქართველოს "იბერია სტარი" წარმოადგენს. საქართველოს გარდა, ელიტრაუნდის მატჩები გაიმართება ესპანეთში, სერბეთსა და სლოვენიაში.

ელიტრაუნდში ოთხი ჯგუფი დაკომპლექტდება და თითოეული ჯგუფიდან თითო გუნდი იბრძოლებს თასისთვის. ელიტრაუნდის წილისყრა უეფას შტაბბინაში 13 სექტემბერს ჩატარდება.

"სიტი" სილვას ახალ კონტრაქტს სთავაზობს

"მანჩესტერ სიტის" მესვეურები დარწმუნებული არიან, რომ გუნდის ესპანელი ფლეიმეიქერი დავიდ სილვა ახალი ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე თანახმა იქნება. სავარაუდოდ, "სიტის" მესვეურთა იმედი გამართლდება. საქმე ის არის, რომ, ახალი კონტრაქტის თანახმად, დავიდ სილვას კვირაში 240 ათას გირვანქას გადაუხდიან. ასეთ კონტრაქტებზე კი უარს არ ამბობენ.

კლუბის წარმომადგენლებსა და ფეხბურთელის აგენტს შორის რამდენიმე მოლაპარაკება უკვე გაიმართა. ახალი კონტრაქტის გაფორმებას წინ თითქმის აღარაფერი უდგას.

"სიტიმ" სილვასთან ახალ კონტრაქტზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც ცნობილი გახდა, რომ მისით მადრიდის "რეალი" იყო დაინტერესებული.

ჩეხები განას ყიდვას აპირებდნენ

სპორტულ გამოცემა ESPN-ის ინფორმაციით, 2006 წლის საფეხბურთო მუნდიალზე ჩეხეთის ნაკრები განის ეროვნული გუნდის ყიდვას ცდილობდა. ამის თაობაზე ESPN-ს განელთა 34 წლის მეკარე რიჩარდ კინგსტონი ესაუბრა. თურმე ჩეხები კინგსტონს 300 ათას დოლარს სთავაზობდნენ, თუ ის უზრუნველყოფდა ჩეხეთის ნაკრების გამარჯვებას ანგარიშით 2:0.

"ამ თანხის საფასურად მე ჩეხებისთვის 2:0 უნდა მომეგებინებინა. არ დავმალავ, ასეთმა დიდმა თანხამ კინაღამ მაცდუნა. წარმოიდგინეთ, მთელი 300 000 დოლარით გავმდიდრდებოდი. ჩეხების დამარცხების შემთხვევაში კი პრემიალურ თანხას - მხოლოდ 3 000 მივიღებდი. არ ვიცოდი, არ მექნა და რჩევა მეუღლეს ვკითხე. მან მითხრა: რიჩარდ, მე შენ ფულის გამო არ მიყვარხარ. ასე რომ, ცდუნებას გაუძელი და ღირსება შეინარჩუნეო.

სნეიდერი 2015 წლამდე დარჩება "ინტერში"

მილანის "ინტერის" ჰოლანდიელი ნახევარმცველი უესლი სნეიდერი ამბობს, რომ "ნერაძურიში", სულ მცირე, 2015 წლამდე დარჩება. "ჭორებს ჩემს შესაძლო ტრანსფერზე უკვე შევეჩვიე. თუ მედიას დავუჯერებთ, "ინტერი" კარგა ხნის წინ უნდა დამეტოვებინა. თუმცა, კლუბთან კონტრაქტი 2015 წლამდე მაქვს და თუ "ინტერმა" ჩემთან ურთიერთობის გაგრძელება ისურვა... მოკლედ, ერთი რამ ფაქტია: 2015 წლამდე "ინტერიდან" წასვლას არ ვფიქრობ. მეტსაც გეტყვით, "ინტერის" დატოვება არასდროს არ მინდოდა. აქ ყველაფერი მომწონს - კლუბი, ქალაქი, თანაგუნდელები და მწვრთნელი. სტრამაჩონის და მორატის ფეხბურთი მშვენივრად ესმით. აქვე მინდა ვთქვა, რომ იტალიური ფეხბურთის უკუსვლაზე საუბარი ნაადრევია. არა მგონია, რომ "იუვენტუსი" ახლა ჩვენზე ბევრად ძლიერი იყოს. ამბობდნენ, "მილანი" დაიშლებაო, მაგრამ "რომსონერიში" ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან. "ინტერი", ისევე როგორც "რომა" და "ნაპოლი", სკუდეტოსთვის იბრძოლებს. დიახ, ფავორიტი "იუვეა", მაგრამ ჩვენი ჩამოწერა არ ღირს," - ამბობს სნეიდერი.

"მილანი" ლორენტეთი დაინტერესდა

ესპანური გამოცემის, "ასის" ინფორმაციით, "მილანი" სულ მალე მიმართავს ბილბაოს "ატლეტიკს" ფერნანდო ლორენტეს ტრანსფერის თაობაზე. კლუბებს შორის მოლაპარაკება, სავარაუდოდ, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე დაიწყება და იანვარში ლორენტე უკვე "მილანის" ფეხბურთელი იქნება.

ვიქტუალური, რეალური საქართველო

პირველი გვერდიდან

ჰოლანდიაში რომ არ გვეცელქა, პირველზე ვიქნებოდით და სადაც ვზივართ, ის ადგილიც ნორმალურია. თბილისში ჰოლანდიას კლასით, ზაზა ფაჩულიას და თოკო შენგელიას გარეშე ავუწიეთ ყური და მშვიდად, კლასით, მოქნილი კალათბურთით მოვიგეთ. 97:89 ნორმალური ბისია. იგორ კოკოშკოვმა კიდევ ერთი ტესტი ჩააბარა და ამერიკამდე დაისვენებს. იგორს ამერიკული ტესტები ნოემბრიდან დაეწყება და პარალელურად, ჩვენი ქოუჩი საქართველოს ნაკრების სლოვენიურ სცენარზეც იფიქრებს.

აგვისტოს და სექტემბრის ამბები ცოტა მერე, რამდენიმე დღეში გავარჩიოთ. ჰოლანდიასთან გასაუბრების ბოლო კითხვები იყო და კოკოშკოვმა ლაკონურად, გემოვნებით, მშვიდად დახურა ყველაფერი. ჰოლანდია აქ ფრანსისკო ელსონის გარეშე ჩამოვიდა და ტიმ დანკანის ახლობელი პირველ ხუთეულში კარგმა ბიჭმა, რობინ სმიოლდერსმა შეცვალა. სწრაფი, აგრესიული მეოთხე ნომერი. სმიოლდერსი მომენტებში ახალგაზრდა ვლადიმერ ბოისას მოძრაობით, ვოვას მუღამებით აკეთებდა საქმეს და ჰოლანდიამ სოლიდურად დაფარა პატარა სერიები. უბრალოდ, ეს სერიები საქართველოს ნაკრების ინდივიდუალური პერლებით იფარებოდა. ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, ჯეიკობ პულენი და სანდო კაცი, მანუჩარ მარკოიშვილი საქმეს აკეთებდნენ და კოკოშკოვი არ ნერვიულობდა. ამ ნაკრებთან ერთად არ უნდა ინერვიულო. ფაჩულიასთან და შენგელიასთან ერთად, იგორს უფრო მეტი გასადავებელი აქვს.

ზაზამ დაისვენა, დაღლილი სხეული დაასვენა და შენგელია ამერიკულ ლიგაში უკეთესი, უფრო ამერიკული ბიჭი იქნება. ჩვენთვის, იგორისთვის უკეთესი.

სანიკიძე გლიჯავს. ვიკა ცოტა სხვა დონეზე დგას და თუ «სიენა» ჩვენი ბიჭისთვის ერთწლიანი, ერთჯერადი იქნება, შემდეგი გაჩერება ამერიკაში, ერთ მტვრიან შტატში იქნება. მოხუცი გენიოსების გუნდი, რომელიც ვიკას რეალურად აქცევს ყურადღებას და სანიკიძე/»სან ანტონიოს» ახლობლობა საინტერესო იქნება. ვიკამ ჰოლანდიასთან ჩასაგდები ჩააგდო, გადაჭრა ჰოლანდიური ზონა, აარტყა მთელ ჰოლანდიას და სანიკიძემ თამაშიდან, 14/7 სროლა გამოიყენა. 4 მოხსნა ჩვენმა ბიჭმა სხვისი ზონიდან წამოიღო. კოკოშკოვი სანიკიძეში მომავალს და პერსპექტივას ხედავს. ეს იგორმაც იცის.

მარკოიშვილი ასრულებს. მანუმ 5 ჩაჭრა წამოიღო, ჰოლანდიას ორი პირველი შეტევა მოუკლა, აგრესიული და აკურატული იყო. იდეალური მიქსტი დაცვაში ჩაჯდომის დროს. ჩვენმა მსროლელმა 34 წუთში ცოტა (2) იაღლიში დაუშვა და მარკოიშვილის როლიც არ იცვლება. მანუ პირველ მეოთხედში ჩვენი ნაკრების პირველი ოფციაა. ჰოლანდიასთან ბიჭმა 12 ქულა დასვა და მომენტებში

ბურმისტრა ბუხაიძის ფოტო

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ვიზა აიღო

ერთობოდა. რამდენიმე ლამაზი პასი. ერთი მომენტიც ხოშიანი იყო - მარკოიშვილი და ცინცაძე ორი ერთზე გადიოდნენ, მანუმ პაუზა გააკეთა, ბუ სამიანზე ავიდა და ბურთი მიიღო. გიომ სამიანი ხია და ყველაფერი იდეალურად დაიხურა. მანუში კოკოშკოვი სიმშვიდეს, ნდობას, სტაბილურობას იღებს. მანუ საქმეს სულ აკეთებს. ჰოლანდიასთან, ბოსნიასთან, სწრაფ, მძიმე, სერიოზულ, თინეიჯერულ გუნდთან, რუსეთთან, ყველასთან. მანუ შარმია.

ჰოლანდია ცოტა სხვა თემაა, მაგრამ ცინცაძე ამ თამაშშიც, ბოსნიასთან, ლატვიასთან, ყველასთან ძალიან კარგი იყო. რაღაც მომენტში, თამაშის მხოლოდ კომპლიმენტებით გარჩევა გამოდის და ნაკრები კომპლიმენტებს უნდა იღებდეს.

კალათბურთელები ნდობას და პატივისცემას დიდი დოზით უნდა იღებდნენ. კალათბურთელები, სტრუქტურულად კარგი სისტემა და იგორ კოკოშკოვი. პროცესში, შეცდომები იყო და ალბათ, იქნება. ეს შეცდომები შედეგით იფარება. და კოკოშკოვის ბენდს შედეგი აქვს. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მეორედ ვართ და სადაც არ უნდა ჩავჯდეთ, ვითამაშებთ. ლიტვაში პირველი რაუნდი გავიარეთ და მერე ორი საჭირო ელემენტი დავკარგეთ. სლოვენიაში უფრო შეცვლილი გუნდი ჩავა და უცვლელია მწვრთნელი. კოკოშკოვი ამერიკული ამბების შემდეგ კიდევ ერთხელ გადახედავს ნაკრებს და სლოვენიაში საინტერესო ამბები იქნება. საინტერესო ამბები საინტერესო ნაკრებით.

სერიოზული პირველი ხუთეული, ნორმალური ნატურალიზებული კაცი, მწვრთნელი, რომელიც იშვიათად აგებს და შეცდომებს ინტელექტით ფარავს. საქართველოს ნაკრებში ემოცია და კლასია. ემოცია ჩვენგანაც მოდის და მეტი დოზით წამოვა.

▫ ჯგუფი

საქართველო 97:89 ჰოლანდია
25:21, 29:22, 18:16, 25:30

საქართველო: პულენი (**23**+4 მ+3 პ+1 ჩ), მარკოიშვილი (**22**+5 მ+5 პ+5 ჩ), სანიკიძე (**22**+13 მ+1 პ+1 ჩ+1 დ), ცინცაძე (**14**+6 პ+3 ჩ+1 მ), შერმადინი (**8**+6 მ+4 პ+2 ჩ), მეტრეველი (**4**+2 მ), ფაცაცია (**3**+2 ჩ+1 მ+1 პ), ბოისა (**1**+1 მ).

ჰოლანდია: სმიოლდერსი (**22**+13 მ), სლაგტერი (**19**+5 პ+4 მ+4 ჩ), იანსენი (**18**+6 პ+4 მ), ნორელი (**8**+7 მ+3 მ), აკერბომი (**7**+3 მ), დე იონგი (**5**+3 მ), თოუვკენსი (**4**), კანინგემი (**4**), ჰუზლებოსი (**2**+3 მ).

რუმინეთი 77:85 ლატვია
16:27, 18:17, 20:21, 23:20

რუმინეთი: სილვაშანი (**19**+2 მ+2 პ), ბაჩუ (**14**+3 მ+2 პ), დრაგუშინი (**12**+6 მ), მანდაჩე (**10**+4 მ+3 პ), პაული (**10**+2 პ), მოლდოვეანუ (5+6 მ), ანდრეი (4+4 პ+2 მ), ლაზარი (3).

ლატვია: შტრელნიექსი (**14**+8 პ+3 მ), კ.ბერზინსი (**13**+5 მ), დავის ბერტანსი (**11**+2 მ), დაირის ბერტანსი (**11**), მეიერსი (11), იერომანოვსი (**9**+4 პ), კუკსიქსი (**9**+4 პ+3 მ+2 ჩ), ა.ბერზინსი (**5**+3 მ), სელაკოვსი (**2**+2 მ+2 ჩ).

1. ბოსნია	**6:2**	**736:672**
2. საქართველო	**6:2**	**707:666**
3. ლატვია	**5:3**	**655:584**
4. ჰოლანდია	2:6	667:726
5. რუმინეთი	1:7	569:686

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge